

ქრისტეანის  
შინაგანი, დაფარული  
ღვაწლი

მამათა სწავლებები  
თავის ბრალობის, სიკვდილის ხსოვნისა  
და სინანულისათვის


თბილისი  
2007

**იხმჭღეზა**  
**გათუშის მთავარეპისკოპოს ღიმიტრის**  
**(შიოლაშვილი)**  
**ლოცვა-კურთხევიტი**

შეადგინა ვლადიმერ წამალაშვილმა  
გამომცემელი: ასოციაცია „კვირიაკე“

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.

*გ. ბერიძე*  
ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი

	სსამმმრდ	სრ
	28.03.04	№ 163

**წიგნი შედგენისას გამოყენებული ლიტერატურა:**

1) შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები:

I. ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით. (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1966 წ.).

II. ანბანურ-ანონიმური პატერიკები („–“, 1974 წ.).

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა.

2) საქ. ეკლესიის 1986 წლის კალენდარი (წმ. იოანე სინელის „კიბე“).

3) ) საქ. ეკლესიის 1991 წლის კალენდარი (წმ. აბა დოროთე, სწავლანი; წმ. ანტონი დიდი, სწავლანი).

4) წმ. თეოდორე სტუდიელის ქადაგებანი, მარხვანი.

5) წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი, „უხილავი ბრძოლა“ (წმ. ნინოს დედათა მონასტერი, 2004 წ.).

6) იოანე მოსხი, ლიმონარი ანუ სამოთხე (თბილისი, 2005 წ.).

7) Отечник (изд. "Правило веры", 1996).

8) Древний Патерик (М. 1991).

9) Митерикон (Киев, 2001).

## წინასიტყვაობა

ქრისტიანული ღვაწლი არის ორგვარი: შინაგანი და გარეგანი.

შინაგანი ღვაწლი ძირითადად სამი სახისაა: გულში თავის დამდაბლება, ანუ თავის ბრალობა, სიკვდილის ხსოვნა და სინანული, ცოდვებზე გლოვა.

გარეგანი ღვაწლია: მარხვა, მუხლდრეკები, ღამისთევა, ძილის მოკლება და სხვა.

არის ღვაწლი, რომელიც ორივეს მიეკუთვნება; მაგალითად, ასეთია ლოცვა და მორჩილება.

ზოგიერთი მაღალი გარეგნული ღვაწლი არ არის აუცილებელი ერში მცხოვრები ქრისტიანებისათვის, შინაგანი ღვაწლი კი ყველასთვის ხელმისაწვდომია; ბერ-მონაზვნებისთვის – ესაა არსი და საფუძველი მონაზვნური ცხოვრებისა, ვინაიდან თავმდაბლობის, სიკვდილის ხსოვნისა და სინანულის გარეშე ყველანაირი გარეგნული ღვაწლი არასწორ მიმართულებას მიიღებს.

# თავი I

## თავის ბრალობისათვის

თავის ბრალობა არის გულში, საიდუმლოდ, აზრით, თავის დამდაბლება. მამათა სწავლებით, თავს იმდაბლებს ადამიანი, როცა აზრით ეუბნება თავის თავს: „მე ვარ ყველაზე ცოდვილი“; „თუ რამე განსაცდელი შემხვდება, ჩემი ცოდვების ბრალია“; „ჩემი ცოდვების გამო მე ვარ დასჯის ღირსი“, და ა.შ. ამ შინაგან ღვაწლს ზოგი მამა არქმევს „გულის შემუსვრას“, ზოგი — „საკუთარი თავის განკითხვას, განსჯას“, მაგრამ უმეტესი მათგანი უწოდებს „თავის ბრალობას“. თუ აზრით, გულში, თავის ბრალობა ამდაბლებს ადამიანს, სამაგიეროდ დიდ სიამაყეში აგდებს მას ამ სიტყვების ხალხში, სხვების გასაგონად ლაპარაკი. სახარების სწავლებით, ყველა სათნოება უნდა იყოს დაფარული, ხალხის დასახად გაკეთებული საქმეები კი იწვევს სიამაყეს.

### პატერიკი

1. თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: „ნეტარმან მამამან ანტონი თქუა, რამეთუ ესე არს დიდი საქმარი კაცისაჲ, რაჲთა ბრალი თვისი თავსა თვისსა ზედა დაიკრიბოს წინაშე ღმრთისა და მოელოდის განსაცდელთა ვიდრე სულისა აღმოსლვადმდე“.

2. თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: „რომელი თავსა თვისსა აბრალებდეს, რაჲცა მოიწიოს მის ზედა, გინათუ უპატიოებაჲ, გინათუ დაჭირვებაჲ, ყოველსავე ზედა თავი თვისი უღირსად უჩნს და ყოველსავე განსუენებით თანა წარჰხდების“.

3. მამამან პიმენ თქუა, ვითარმედ: „სულთქუმით ყოველ-

ნი სათნოებანი სოფელსა ამას შემოვიდეს თვნიერ ერთისა, და თვნიერ მისა შრომით ჰვიეს კაცი“. და ჰკითხეს მას, ვითარმედ: „რაჲ არს ესე სათნოებაჲ?“ ხოლო მან თქუა: „რაჲთა კაცი აბრალებდეს თავსა თვსსა“.

4. ჰრქუა მამამან პიმენ მამასა იოსებს: „მითხარ მე, ვითარ ვიქმნე მონაზონ?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „უკუეთუ გინებს, რაჲთა განსუენებაჲ ჰპოო აქაცა და მუნცა, თქუ ყოველსა საქმესა: მე ვინ ვარ? და ნუვის განიკითხავ“.

5. თქუა მამამან პიმენ: „ამისთვის ესოდენსა შრომასა შინა ვართ, რამეთუ არა შევეწევით ძმათა ჩუენთა, რომელთაჲ წიგნმან განაჩინა შეწყნარებაჲ. ანუ არა ხედავთა დედაკაცსა მას ქანანელსა, რომელი შეუდგა იესუს, დაღადებდა და ევედრებოდა მას, რაჲთა განკურნოს ასული მისი. და რამეთუ შეიწყნარა იგი მაცხოვარმან და განუსუენა მას. და მერმე აბიგეა, რამეთუ ჰრქუა დავითს: „ჩემ ზედა არს, უფალო ჩემო, შეცოდებაჲ ეგე“. ისმინა მისი და შეიყუარა იგი. აბიგეას ხატი მოაქუს სულისაჲ და დავითს – ღმრთეებისაჲ. უკუეთუ სული თავსა თვსსა აბრალებდეს წინაშე უფლისა, შეიყუაროს იგი და განუსუენოს მას“.

6. მერმე ჰკითხა მას ძმამან და ჰრქუა: „ვითარ ვინ განერეს ბოროტად სიტყვსაგან მოყუასისა თვსისა?“ მიუგო მას ბერმან და ჰრქუა: „ჩუენ და ძმანი ჩუენნი ორნივე ხატნი ვართ. რომელსა ჟამსა კაცი თავსა თვსსა აბრალებდეს, იპოოს პატიოსან ძმაჲ იგი მის წინაშე. და ოდეს კუალად თავი თვსი სახიერ უჩნდეს, პოის ძმაჲ იგი მისი უკეთურ წინაშე მისა“.

7. მერმე თქუა მამამან პიმენ: „დიდ არს კაცისა, რომელი მიიწიოს სიტყუასა მას მოციქულისასა: „ყოველი წმი-

და არს წმიდათათჳს“. ჰკითხა ძმამან: „რამ არს სიტყუამ ეგე?“ ჰრქუა მას ბერმან: „უკუეთუ ვინმე მიიწიოს სიტყუასა მას, ხედვიდეს თავსა თჳსსა უღარეს ყოველთა დაბადებულთა“. ჰრქუა მას ძმამან: „ვითარ შეუძლო თავსა ჩემსა უღარეს კაცის მკლველისა ყოფად?“ მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: „უკუეთუ მიიწიოს კაცი სიტყუასა მოციქულისასა და იხილოს ვინმე, რომელი მოჰკლვიდეს კაცსა, თქუას გულსა შინა თჳსსა, ვითარმედ: „ამას ესე ხოლო ცოდვამ უქმნიეს, ხოლო მე ყოველსა ჟამსა კაცსა ვკლავ“.

8. მამამან ჰიმენ თქუა: „მე ესრე ვიტყვ, ვითარმედ: ადგილსა, რომელსა ეშმაკი შთაგდებად არს, მეცა მუნ შთაგდებად ვარ“.

9. ჰკითხა მას ძმამან: „ვის ვხედვიდე, სენაკსა შინა რამ ვჰდე?“ ჰრქუა მას ბერმან: „მე ერთი ჯერი კაცი ვარ, შთაგდებული მწვრესა ვიდრე ყელადმდე, და ვაღალადებ ღმრთისა მიმართ: შემიწყალე მე“.

10. მრავალგზის თქვს ბერმან: „ნურად შეგირაცხიეს თავი თჳსი. არამედ შეეყავ კაცსა, რომელი კეთილად ცხონდებოდეს“.

11. თქუა მამამან ჰიმენ: „ცხორებამ ისრაელისამ ესე არს, რამთა ყოველსა ჟამსა თავსა თჳსსა აბრალებდეს“.

12. ძმამან ჰკითხა მამასა სისოის და ჰრქუა: „ვხედავ, რამეთუ ვსენებამ ჩემი ღმრთისა თანა დადგრომილ არს“. ჰრქუა მას ბერმან: „არა დიდ არს, რამეთუ გულისსიტყუამ შენი ღმრთისა თანა არს, არამედ დიდ ესე არს, უკუეთუ თავი შენი ყოველთა დაბადებულთა ქუემო კერძო შეგერაცხოს. რამეთუ ამან და ჯორციელმან შრომამან მოიყვანის სიმდაბლედ“.

13. თქუა მამამან სისოი: „რომელიცა განსაცდელი მოიწიოს კაცსა ზედა, თქუნ, ვითარმედ: „ცოდვათა ჩემთათს არს ესე“. უკუეთუ რაიმე კეთილი მოგეცეს, იტყოდე, ვითარმედ: „მოლუაწებად არს ესე ღმრთისაა“.

14. თქუა მამამან სისოი: „შეურაცხ ქმენ თავი თვისი და ნებასა თვისსა ნუ აღასრულებ და უზრუნველ იქმნე და გაქუნდეს განსუენებაა“.

15. ჰკითხეს მამასა სისოის, ვითარმედ: „რაა არს სიმდაბლე?“ და თქუა: „ოფლი არს და ვორცთა შრომადა და ღმრთისა მიმართ ვედრებაა, რაითა კაცსა თავი თვისი უქუეს ეგონოს ყოველთა დაბადებულთასა“.

16. თქუა მამამან იოვანე: „სულმცირე ტვრთი დაუტევეს ძმათა, რომელ არს თავისა თვისისა ბრალობადა და მძიმე აღვიდით, რომელ არს თავისა თვისისა განმართლებაა“.

17. იგივე ჯდა ოდესმე სკიტეს და ძმანი გარემოასხდეს და გამოჰკითხვიდეს გულისსიტყუათა მათთა. და ჰრქუა მას ბერმან ვინმე: „იოვანე, ვითარცა მეძავი ხარ, რომელი თავსა განიშუენებნ და ტრფიალთა განიმრავლებნ“. ხოლო მამამან იოვანე შეიტკბო იგი და ჰრქუა მას: „ჭეშმარიტსა იტყვ, მამაო“. და მისსა შემდგომად ჰრქუა ვინმე მოწაფეთა მისთაგანმან: „აწ გულსა შინა თვისსა არა-ვე განჰპრისხენა, მამაო?“ და მან ჰრქუა: „არა, არამედ ვითარცა გარეშე ვარ, ეგრეცა შინაგან“.

18. იტყოდეს კუალად მამისა მოსესთს: ოდეს იქმნა იგი დიაკონ, გარდასდევს მას ოლარი. ჰრქუა მას მთავარ-ეპისკოპოსმან: „აჰა ესერა იქმენ ყოლადვე სპეტაკ, მამაო მოსე!“ ჰრქუა მას ბერმან: „გარეშე ხოლო-მეა, უფალო ეპისკოპოს, ანუ შინაგანცა?“ და მერმე კუალად ეპისკოპოსსა



უნდა გამოცდად მისი. ჰრქუა დიაკონსა: „ოდეს აღმოვდეს მამად მოსე სამღვდელოდ, გარდააძეთ იგი და შეუდევით მას და ისმენდით, რასა-ძი იტყოდის“. და ვითარ აღვდა ბერი, შეპრისხნეს მას და გარდამოაძეს და ეტყოდეს მას: „გან-კედ გარე, ჰინდლო შავო“. და ვითარ გამოვიდა იგი გარე, ეტყოდა თავსა თვსსა: „კეთილად გიყვეს, ტყავო ნაცრის-ფერო, შავო, ხარ არარაჲ და ვითარცა კაცი კაცთა თანა შეერთი“.

19. ჰკითხა მამამან ჰამბო მამასა ანტონის და ჰრქუა: „რაჲ ვყო?“ ჰრქუა მას ბერმან: „ნუ ხარ მოსავ სიმართლესა შენსა, წრფელითა გულითა ინანდი საქმესა ზედა წარ-სრულსა და ეკრძალე ენასა და მუცელსა“.

20. ძმამან ჰრქუა მამასა ჰამბოს: „ვითარ ესრე მაყენებენ მე ეშმაკნი კეთილის-ყოფასა მოყუსისასა?“ ჰრქუა მას ბერმან: „ჰსცთები, ძმაო, სიტყვთა მაგით, და ღმრთისა სიტყვსაგან ურწმუნო იქმნები, რამეთუ ღმერთმან არა მის-ცა კელმწიფებაჲ ეშმაკსა, არამედ ჩუენ მოგვცა კელმწიფე-ბაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ძალსა მტერისასა. ხოლო შენ თქუ, ვითარმედ: „მე თვთ არა მეწყალის ძმაჲ ჩემი“, და ნუვის აბრალე, არამედ თავსა შენსა“.

21. იტყოდის მამისა ჰამბოისთვს, რამეთუ აღ-რაჲ-ესრუ-ლებოდა, თქუა: „ვინაძოგან მოვედ ამას აღგილსა, არასადა დაგყავ თვნიერ კელსაქმრისა დღე ერთცა, არცა ვჰამე ჰუ-რი ვისიმე, არცა შევინანე სიტყვსათვს, რომელსა ვიტყო-დე. და აწ ეგრე შემირაცხიეს, ვითარმცა შე-ვე-არა-დგო-მილ ვიყავ ღმრთის-მსახურებასა“.

22. ძმამან ჰკითხა მამასა ამონას: „მითხარ მე სიტყუ-

აა“. და ჰრქუა მას ბერმან: „ვილოდე და ყავ გულის-სიტყუ-  
აა შენი, ვითარცა ძვრის მოქმედნი, რომელნი არიედ საჰყ-  
რობილესა შინა და ჰკითხევდ კაცთა და ეტყუედ: „სადა  
არს მთავარი?“ და ოდეს მოვალს და მოლოდებისა მისგან  
შიშისა ძრწინ, ეგრეთცა მონაზონსა უღირს, რაათა ყო-  
ველსა ჟამსა ეკრძალებოდის და ამნილებდეს სულსა თვსსა  
და იტყოდის: „ვაამე, ვითარ-მე წარდგომად ვარ საყდართა  
მათ ქრისტესთა და ვითარ-მე სიტყუაჲ მიუგო?“ უკუეთუ  
ესრე განიზრახვიდეს ყოველსა ჟამსა, შემძლებელ იყოს  
ცხორებად“.

23. ძმაჲ ვინმე იყოფოდა ძმათა თანა. ჰკითხა მამასა ბე-  
სარიონს: „რაჲ ვყო?“ ჰრქუა მას ბერმან: „ღუმენ და თავი  
თვსი შეურაცხყავ“.

24. ძმამან ვინმე ჰკითხა მამასა თევლორეს და ჰრქუა:  
„მინებს, რაათამცა აღვასრულე ყოველი მცნებაჲ“. ხოლო  
ბერმან უთხრა მამისა თეონადსთვს: „მანცა თქუა: „მინებს,  
რაათამცა სრულ ვყავ გულის-სიტყუაჲ ჩემი ღმრთისა მი-  
მართ“. და წარმოილო ღუემლისა ერთისა პური საპურედ  
და შექმნა პურად. ვითარ სთხოვდეს გლახაკნი, განუყო მათ  
პური იგი. და ვითარ სთხოვდეს მას სხუანი იგი, მისცა მათ  
სფურიდები იგი და მისცა სამოსელიცა თვსი, რომელი ემო-  
სა. და შე-რაჲ-ვიდა სენაკად, მოირტყა მაფური და ესრეთ-  
ცა აბრალეზდა თავსა თვსსა და ეტყოდა, ვითარმედ: „არა  
აღასრულე მცნებაჲ იგი ღმრთისაჲ“.

25. იტყოდა მამაჲ ამონა, ვითარმედ: „არს კაცი, რო-  
მელმან დაყვის ასი წელი სენაკსა შინა თვსსა და ვერ ისწა-  
ვის, ვითარ-იგი ჯერ-არს სენაკსა შინა ჯდომაჲ, ხოლო  
განშორებულმან ერთსა შინა ჟამსა ისწავის“. ხოლო ესე

თქვს, რადთა კაცი მარადის თავსა თვსსა აბრალობდეს, რამეთუ ესე წესი არს განშორებულთაჲ.

26. თქუა ბერმან: „თანა-აც მონაზონსა, რადთა ყოველსა მწუხრსა და დილეულსა იტყოდის სიტყუასა თავისა თვსისა თანა, ვითარმედ: „რად-იგი უნდა ღმერთსა, არა ვქმენ“. და ესრეთ ინანდეს მარადის, რამეთუ ესე არს წესი მონაზონებისაჲ ცხოვრებასა შინა თვსსა და ესრეთ ცხონდა მამა არსენი“.

27. თქუა ბერმან: „ვაჲ შენდა, სულო ჩემო, რამეთუ დაეჩვე კითხვასა ოდენ და სმენასა სიტყუათა ღმრთისათა და არარას იქმ მათგანსა. ვაჲ შენდა, თავო ჩემო, რამეთუ გულისხმა-გიყოფიან შემაგინებელნი შენნი და ყოლადვე მათ ეძიებ — შუებასა და განსუენებასა“.

28. თქუა მამამან პაფნოტი, ვითარმედ: „ვიდოდე მე ოდესმე გზასა ზედა. წარვჰკლიდი რად დაბასა ერთსა, ვიხილენ ვიეთნიმე, რომელნი ეუბნებოდეს ერთმანერთსა, და გარე მივიქციე პირი ჩემი მათგან. და დავდეგ ლოცვად და ვევედრებოდე ღმერთსა ცოდვათა ჩემთათვს. და აჰა ესერა ვიხილე ანგელოზი უფლისაჲ, რომელსა ჰქონდა კელთა თვსთა მახვლი საშინელი, და მრქუა მე: „პაფნოტი, უწყია, რამეთუ ყოველნი, რომელნი განიკითხვენ სხუათა, ამით მახვლითა წარწყმდებიან? ხოლო, რომელ არა განიკითხე, არამედ დაიმდაბლე თავი შენი წინაშე ღმრთისა, ვითარმცა შენ გექმნა ცოდვაჲ იგი, ამისთვის დაიწერა სახელი შენი წიგნსა მას ცხოველთასა“.

29. თქუა ბერმან: „შუენის მონაზონსა თვსაგან ყოფად და საურავი დღისა მისთვის სიკუდილისა, და ტკივილი და ტირილი და გლოვაჲ ცოდვათა თვსთათვს, და უზრუნველო-

ბაა ამის სოფლისაჲ, არავისი დამძიმებაჲ, თავისა თვისისა შეჭირვებაჲ და თავისა თვისისა მხილებაჲ, და იწროებითა ცხოვრებაჲ, თავისა თვისისა განკითხვაჲ, მარადის მღვიძარებაჲ და რაჲთა ტკივილითა გულისაჲთა მარადის ითხოვდეს ღმრთისაგან შენდობასა ცოდვათასა“.

30. თქუა ბერმან: „ჩემსა გონებასა ესრეთ მგონიეს, ვითარმედ ყოველთა სათნოებათა თავი ესე არს, რაჲთა კაცმან თავი თვისი შეურაცხად იპყრას ყოველსა შინა საქმესა“.

31. ძმაჲ ვინმე მოსწრაფე აღასრულებდა კანონსა ძმისა თვისისა თანა, და იძლეოდა ცრემლთაგან, და დაურჩებოდა მუგლი ფსალმუნისაჲ. ხოლო ოდესმე ევედრა ძმაჲ იგი, თუ რასა იგონებს ფსალმუნსა შინა თვისსა, რომელ ესრეთ მწარედ ტირს. ჰრქუა მას მოლუაწემან მან ძმამან: „შემინდვე მე, ძმაო, რამეთუ კანონსა შინა ჩემსა ყოლადვე მსაჯულსა ვხედავ და მე ვღგა წინაშე მისა და განვიკითხვი. და იგი მეტყვს მე, ვითარმედ: „რად სცოდე?“ ხოლო მე არაჲ მარქუს სიტყუაჲ, თუ რაჲ მიუგო. და ამას შექცეულ არს გონებაჲ ჩემი და ამისთვის წარმიწყმდების მუგლი ფსალმუნისაჲ, არამედ შემინდვე, ძმაო, რამეთუ გულსა გაკლებ, და უკუეთუ გნებაეს, თითოეული თვისაგან აღვასრულებდეთ თვისსა კანონსა“.

მიუგო მას ძმამან მან: „არა, ძმაო, არამედ დაღაცათუ მე არა ვიგლოვ, გარნა ოდეს შენ გხედვიდე, თავსა ჩემსა ვაბრალობ“.

ხოლო ღმერთმან იხილა სიმდაბლე იგი მისი და მასცა მიჰმადლა გლოვაჲ ესევეითარი.

32. ბერსა ვისმე ერვნენა ეშმაკი ანგელოზად ნათლისად, და ჰრქუა: „მე ვარ გაბრიელ ანგელოზი, ღმერთმან მომაჯ-

ლინა მე შენდა“. ჰრქუა მას ბერმან მან: „მე ცოდვილი ვარ და არაღირსი. სხვსა ვისსამე მიგავლინა“. და ვითარცა იხილა დიდი იგი სიმდაბლე ბერისაჲ მის, მეყსეულად უჩინო იქმნა ეშმაკი იგი.

33. თქუა ბერმან: „უწინარეს ყოველთა სათნოებათა არს სიმდაბლე და უწინარეს ყოველთა ბოროტთა არს ამპარტავანებაჲ. ხოლო სრული სათნოებაჲ არს სიყუარული ღმრთისაჲ და მოყუსისაჲ, და დიდი ვნებაჲ არს თავისა თვისისა განმართლებაჲ“.

34. თქუა მამამან ესაია: „ვამ მე, ვამ მე, რამეთუ არა ვიღუაწე ცხოვრებისათჳს სულისა ჩემისა, რაჲთამცა ღირს-ვიქმენ წყალობასა უფლისა ჩემისაგან“.

თქუა კუალად: „ვამ მე, ვამ მე, რამეთუ მეწოდების მე სახელი ქრისტესი და მე ვჰმონებ მტერსა მისსა“.

თქუა კუალად: „ვამ მე, ვამ მე, რამეთუ ვიქმ მე ყოლად-ვე, რომელი არა სთნავს ღმერთსა ჩემსა და ამისთჳს არა ვპოვე მე ღნინებაჲ“.

თქუა კუალად: „ვამ მე, ვამ მე, ვითარ-მე შევემთხვო დღესა მას საშინელსა უფალსა ჩემსა და ყოველთა წმიდათა მისთა, რამეთუ არა დავიმარხენ ასონი წმიდად, რაჲთამცა მივედ წინაშე მისსა, ვითარ-იგი მან შემქმნა?“

35. ბერი ვინმე იყოფოდა სენაკსა შინა თჳსსა. მივიდა მისა ეშმაკი, იცვალა ხატი და ჰრქუა: „მე ვარ ქრისტე“; ჰრქუა მას ბერმან: „მე ცოდვილი ვარ და არა ღირს ვარ ხილვად ქრისტესა“. ვითარცა ესმა ესე ეშმაკსა მას, მეყსეულად უჩინო იქმნა სიმდაბლითა მით ბერისაჲთა.

36. თქუა დედამან სჳნკლიტიკე: „ოდეს ვინმე შეგაწუხოს, ნუ იტყვ გულსა შენსა, ვითარმედ მართალ ვარ, არა-

მედ ღმრთისათვის მუკლნი მოუდრიკენ, რაათა განჰმართლდე წინაშე უფლისა. არამედ ჭეშმარიტად გრწმენინ, ვითარმედ ცოდვამან შენმან განარისხა იგი; დავარდი ყოვლითა გულითა შენითა წინაშე ღმრთისა და ილოცევდ ცრემლითა მისსა მიმართ, რაათა დაამშუდოს გონებაჲ მისი და მერმე მივედ და შეუვრდი მას და ესრეთ დააჯეროს ღმერთმან და განწმიდოს გონებაჲ მისი“.

### წმ. აბბა დოროთე

1. დაიმჭირე, ძმაო, ყოვლადვე და ყოველსა ზედა ბრალლობაჲ თავისა შენისაჲ წრფელითა გულითა, და ნუ რად შეგირაცხიეს თავი შენი, და რაჲცა მოიწიოს შენ ზედა განსაცდელი და გულის კლებაჲ, ცან, ვითარმედ ცოდვათა შენთა საკურნებელ არს ღმრთისა მიერ.

2. უკუეთუ კაცმან შიშითა ღმრთისაჲთა გამოიძიოს, პოოს თავი თვისი ბრალეულად.

3. არა რაჲ ესრეთ გვერგების ჩუენ, ვითარცა თავთა თვისთა ბრალლობაჲ, და რაჲცა მოიწევის ჩუენ ზედა, განგებითა ღმრთისაჲთა არს; რამეთუ თვნიერ განგებისა ღმრთისა არა რაჲ მოიწევის ჩუენ ზედა.

4. დაგვიტევებია წრფელი გზაჲ, რომელი თქუეს მამათა — თავისა თვისისა ბრალლობაჲ, და ვალთ გზასა ამას დრკუსა, რომელ არს ბრალლობაჲ ერთმანერთისაჲ, და ყოველნი ვისწრაფით, რაჲთამცა მოყუასსა ზედა მივაგდეთ მიზეზი ცთომისაჲ. რამეთუ ჩვენ თვთ უდებებასა შინა ვართ და მოყუსისაგან ვეძიებთ მცნებათა აღსრულებასა.

5. ჭეშმარიტად არა რაჲ უძლიერეს არს სიმდაბლისა, და ვერცა რაჲ სძლევს მას; რამეთუ რაჲცა რაჲ გულის-

კლებამ მოიწიოს მდაბალსა ზედა, მეყსეულად თავსა თვსსა აბრალებს და უხარის, და არავის აბრალებს სხვასა, და არცა ვის ზედა დასდებს მიზეზსა; და ამისთვის თანა წარ-  
ჰხედების ყოველსავე უშფოთველად და განსუენებით, და არ-  
ცა განრისხნების, არცა ვის განარისხებს.

6. აღშფოთნებაჲ ძმისა მიმართ შემაწუხებელისა იქმნე-  
ბის ამისგან: ოდეს კაცი იყოს ჟამსა მას არა კეთილითა გუ-  
ლის-სიტყვითა, და ვითარცა ესმეს სიტყუაჲ გულის-საკლე-  
ბელი, მეყსეულად აღიდრვის; ანუ ქონდის მტერობაჲ მისა  
მიმართ, და ვითარცა ესმეს მისგან სიტყუაჲ რაჲმე, მეყუ-  
სეულად აღიდრვის. ხოლო არიან სხუანიცა მიზეზნი, არა-  
მედ ჭეშმარიტი მიზეზი ყოვლისა დაბრკოლებისაჲ არს არა  
ბრალობაჲ თავისა თვისისაჲ; ამისთვის ვერ ვპოვებთ განსუ-  
ენებასა, რამეთუ თავთა ჩუენთა არა ვაბრალებთ. საკვირ-  
ველ არს! რამეთუ გვესმის წმიდათაგან, ვითარმედ სხუა  
გზაჲ არა არს თვნიერ ამისა და ვხედავთ, ვითარმედ არა-  
ვინ ვლო სხუასა გზასა ამისგან კიდე, და პოა განსუენებაჲ;  
და ჩუენ ველით თვნიერ ამისა განსუენებასა და ვგონებთ,  
თუ გზაჲ წრფელი გვიპყრიეს, რომელნი ესე თავთა ჩუენთა  
ყოვლადვე არა ვაბრალებთ. ჭეშმარიტად, უკუეთუ აღას-  
რულნეს კაცმან მრავალნი სათნოებანი, და არა დაიმჭი-  
როს გზაჲ ესე, ვერ პოოს მან განსუენებაჲ, და არცა ოდეს  
დასცხრეს გულისკლებისაგან და შფოთისა და წარსწყმელს  
ყოველთა შრომათა მისთა. ხოლო რომელსა ქონდის იგი,  
მას მარადის აქუს განსუენებაჲ და სიხარული.

7. სადაჲმე არს ბერი იგი, რომელსა ჰკითხეს, ვითარმედ:  
„რაჲ წარგიმართებიეს გზასა ამას, მამაო?“ ხოლო მან  
თქუა, ვითარმედ: „ყოველსა ზედა თავისა თვისისა ბრალო-

ბაა“. ამისთვისცა მკითხველმან აქო და პრქუა მას: „სხუაჲ გზაჲ არა არს თჳნიერ ამისა“.

8. არს კაცი, რომელი იტყჳს, ვითარმედ: „უკუეთუ გულსა მაკლოს ძმამან ჩემმან, და გამოვიძიო, და ვერა რაჲ ცთომად ვპოვო თავსა ჩემსა თანა, მაშინ ვითარ ძალმძის ვაბრალობდე თავსა?“ ხოლო მე ამას ვიტყვი, ვითარმედ: უკუეთუ გამოიძიოს კაცმან თავი თჳსი შიშითა ღმრთისაჲთა, და პოს, ვითარმედ არაჲ მიზეზი მიუცემია მას ჟამსა შინა ანუ სიტყჳთ, ანუ სახით, მაშა სხუასა ჟამსა გულს-ეკ-ლო მისდა, ანუ სხუასა ძმასა, და თანა-ედვა, რაჲთა მასცა გულს-შეაკლდა; ანუ თუ სხჳსა რაჲსათვისმე ცოდვისა; და ამისთვის ვიტყჳ: უკეთუ კაცმან შიშითა ღმრთისაჲთა გამოი-ძიოს, პოს თავი თჳსი ბრალეულად.

9. აიძულე გულსა შენსა რწმუნებად, რომელ უეჭუელად შენ თვით მიეც მიზეზი განსაცდელსა. დაღაცათუ აწ ვერა რაჲ ბრალი პოვო თავსა შორის შენსა, შეურაცხჳვ თავი და ითმენდ და ილოცეგდ, და მე სასოებაჲ მაქუს მოწყალე-ბასა ზედა სახიერისა ქრისტეს მეუფისასა, ვითარმედ იგი განგაშორებს განსაცდელსა.

10. ოდეს კაცი თავსა თჳსსა არა აბრალებდეს, მოვალს ღმრთისაცა ბრალობასა.

11. ჭეშმარიტად სიკუდილი არს ნებაჲ კაცისაჲ და გან-მართლებაჲ თავისაჲ.

12. ყოვლისავეთვის გვიხმს, რაჲთა ღმერთსა ვმადლობ-დეთ და თავთა ჩუენთა ვაბრალებდეთ. უკუეთუ ვინმე კეთი-ლი გვიყოს, გინა ბოროტი, ღმერთსა ვმადლობდეთ, ვითარ-ცა თქუეს ძამათა; რაჲთა უკუეთუ კეთილი რაჲმე მოიწიოს, ვიტყოდით, ვითარმედ განგებითა ღმრთისაჲთა არს ესე,



ხოლო უკუეთუ ბოროტი რაჲმე მოიწიოს, რაჲთა ვთქუათ, ვითარმედ ჭეშმარიტად ცოდვათა ჩუენთაგან არს.

13. უკუეთუ დაუთმით განსაცდელთა სიმდაბლით და მადლობით, თანა წარგვხდებიან უვნებელად; ხოლო უკუეთუ დავადგრეთ გულისკლებასა ზედა და შფოთსა, და სხუასა ვაბრალებდეთ და არა თავთა ჩუენთა, ვერარას ვირგებთ, არამედ უფრომსლა ვივნებთ, და დავამძიმებთ ჩუენ ზედა განსაცდელთა; რამეთუ განსაცდელნი ფრიად ერგებიან, რომელნი შეიწყნარებდენ მათ მოთმინებით.

14. იხილეთ, რა იგი თქუა წმიდამან ბერმან, ოდეს დასნეულდა. ძმამან ცთომით ურთო საჭმელსა მისსა თაფლისა წილ ზეთი სელისაჲ, რომელი ფრიად მავნებელ არს. ხოლო ბერმან ჭამა იგი დუმილით, და არა აბრალა ძმასა მას; ხოლო მან ცნა, რაჲ-იგი ექმნა, შეწუხნა და ჰრქუა მას: „მამაო, მოგკალ შენ, და შენ მოაგდე ცოდვაჲ ჩემ ზედა, რამეთუ არა რაჲ მარქვ მე“; იხილეთ, ვითარ სიმშვიდით ჰრქუა მას: „ნუ გუულს გაკლს, შვილო, რამეთუ უკუეთუშტა ენება ღმერთსა, რაჲთა ვჭამე, თაფლიმცა გესხა“.

15. კუალად, კაცი შეურაცხჰყოფს თავსა თვისსა და გონებს, ვითარმედ დიდსა რასმე იქმს, რამეთუ თავსა დაიმაბლებს; და არა უწყის, ვითარმედ არა რაჲ აქუს, რამეთუ არა გულისხმის-ყოფით იქმს; ხოლო გულისხმის-ყოფით არად შერაცხვაჲ თავისა თვისსაჲ ესე არს, რაჲთა კაცსა აქუნდეს თავი თვისი უღირსად კაცთა თანა შერაცხვად, ვითარცა-იგი ეტყოდა მამაჲ მოსე თავსა თვისსა, ვითარმედ: „ნაცრისფერო, შავო! რად აღერევი კაცთა თანა, ვინაჲთგან არა ხარ კაცი?“

16. ამისთვის ვერ წარვმართებთ ვერარას სათნოებასა,

ვერცა რას ვირგებთ, რამეთუ თავსა თვსსა განვიმართლებთ და დაუტევებთ თავთა ჩუენთა, ვითარცა ვთქუ, და არცა ერთსა რას მცნებასა აღვასრულებთ და მოყუსისაგან ვეძიებთ მცნებათა აღსრულებასა. ამისთვის ვერ გულისხმა-ვყოფთ, თუ რაა არს კეთილი; რამეთუ დადაცათუ მცირედი რაამე სათნოებაა წარვმართოთ, მეყსეულად მოყუსისაგან ვეძიებთ მას და ვიტყვი, თუ „რად არა იგიცა იქმს ესრეთ?“ და რად არა უფროაღსლა თავთა ჩუენთაგან ვეძიებთ სათნოებათა და თავთა თვსთა არა ვაბრალებთ, რომელნი ესე არა აღვასრულებთ ყოლადვე ერთსაცა მცნებასა?

17. სიმდაბლისა შვილნი არიან: თავისა თვსისა ბრალობაა, არა მინდობაა თვსისა განზრახვისა, და სიძულილი ნებისა თვსისაა.

18. რააზომცა მიეახლებიან წმინდანი ღმერთსა, და ეგეზომცა უჩნს თავი თვსი ცოდვილად.

19. უკუეთუ განმართლება თავისაა შეეყოს ნებასა თანა კაცისასა, უწყოდეთ, ვითარმედ კაცი იგი ვერას იქმს კეთილსა ყოლადვე.

20. ჭეშმარიტად სიკუდილი არს ნებაა კაცისაა და განმართლებაა თავისაა: უკუეთუ ერთად შეკრბენ, ღიდი შიში უხმს კაცსა მას, რომელი იყოს შორის ორთა ამათ ღელვათა ბოროტთა, რამეთუ მაშინლა დაეცემის სრულიად უბადრუკი იგი, რომელი იყოს მოყუარე ორთა ამათ ეშმაკთა, რომელ არიან ორნი ესე ვნებანი: შედგომაა ნებისა თვსისაა და განმართლებაა თავისა თვსისაა.

21. რომელთა უნებს ცხოვრების, იგინი ყოვლადვე არა მიხედვენ სხვისა ცოდვათა, არამედ თვსთა, და ესრეთ მას

წარემართებიან, ვითარცა ძმა იგი, რომელმან იხილა სხუად ცოდვასა ზედა და სულთ-ითქუნა და თქუა: „ვაამე! რამეთუ დღეს ესე სცოდავს, ხოლო მე – ხვალე“.

22. უკუეთუ ვინმე უსწრას და აბრალოს თავსა თვსსა და შეუვრდეს მოყუასსა მთხოველი შენდობისაჲ, უწინარეს, ვიდრე არა აღგზებულ იყოს გულის-წყრომაჲ, დაუძარხიეს მას მშვიდობაჲ.

23. თავისა თვისისა ბრალობაჲ სიმდაბლე არს, და კეთილ არს ესე.

24. ყოველსა მვედრებელსა ღმრთისა მიმართ: „უფალო, მომეც მე სიმდაბლე“, უხმს ცნობად, რომელ სთხოვს ღმერთსა, რადთა მოუვლინოს მას შემაწუხებელი ვინმე; და ესრეთ, ოდეს-იგი ვინმე შეაწუხებდეს მას, ჯერ არს მისსა მას ჟამსა შინა წყენაჲ და შეურაცხყოფაჲ თავისა თვისისაჲ გონებით, რადთამცა რაჟამს სხუად დაამდაბლებდეს მას გარეგან, მან თვით დაიმდაბლოს თავი თვისი შინაგან.

25. სხუად არათუ იხარებნ ოდენ, რაჟამს შეაწუხებენ, და რაცხს ბრალეულად თვით თავსა თვსსა, არამედ შეწუხებდაცა აღშფოთნებისათვის შემაწუხებელისა მისისა. ღმერთმან მიგვიყვანოს ჩუენცა ესევეითარისა წესიერებისადმი.

26. ყოვლითა გულითა შენითა და ძალითა შეუდეგ სიტყუასა და ნებასა მამისა შენისასა, რამეთუ ესრეთ ჰნებავს ღმერთსა; და მიანდვე თავი შენი და სული შენი მცნებასა ღმრთისასა და ნებასა მამისა შენისასა სიმდაბლით, და ყოვლადვე აბრალებდე თავსა შენსა, ვითარმედ ხარ უძლური და სნეული, და ნურას ზედა შეუდეგები ნებასა და განზრახვასა შენსა, და ესრეთ შეგეწიოს სახიერი ღმერთი.

27. უწყოდეთ, ვითარმედ რომელსა სძულს გინებაჲ, ყუ-  
ედრებაჲ, მხილებაჲ და შეურაცხებაჲ, მას სძულს სიმდაბ-  
ლე, და რომელი ივლტის მათგან, იგი ივლტის ცხოვრები-  
საგან სულისა თვისისა. ნუ გნებავს, რაფთამცა სცნა ბორო-  
ტი მოყუსისა თვისისაჲ, და თუ სცნა, ნუ განიკითხავ მას,  
არამედ მარადის მოიხსენებდი ცოდვათა შენთა და ცეცხ-  
ლსა მას საუკუნესა, და მოკლედ მომავალსა დღესა მას სი-  
კუდილისასა.

### წმ. იოანე წინასწარმეტყველი

უკუეთუ გნებავს დამჭირვაჲ სიმდაბლისა ჭეშმარიტი-  
საჲ, უცხო იქმენ ნებისაგან შენისა, და თავი თვისი ნურად  
შეგირაცხიეს და ყოვლადვე და ყოველსა ზედა აბრალებდე  
თავსა თვისსა, და ახლოს მოელოდე სიკუდილსა დაუვიწყე-  
ბელად და გულის-ხმის ყოფით.

### წმ. იოანე სინელი

1. თანაგვაც მარადის განკითხვაჲ და ბრალობაჲ თავთა  
ჩუენთაჲ, რაფთა ნებსით დამდაბლებითა თავთა თვისთაჲთა  
უნებლიეთა მათ ცოდვათაგან განვერნეთ; ხოლო უკუეთუ  
არა ესრეთ ვყოთ, ჟამსა სიკუდილისასა ბოროტად ვიგვემ-  
ნეთ მათთვის.

2. რომელი ითხოვდეს ღმრთისაგან სათხოველსა, და  
აქუნდეს თავი თვისი უღირსად სათხოველისა მის, მან უმე-  
ტესი მისა მიიღოს; და მოწამე არს ამას-ზედა მეზუერე  
იგი, რომელმან მოტევებაჲ ითხოვა და სიმართლე პოვა.  
ავაზაკმან მოხსენებაჲ ოდენ ითხოვა სასუფეველსა, და ყო-  
ველივე სამოთხე დაიმკვდრა.

3. ვიხილენ მორჩილნი, რომელნი თვთ შინაგან გინებითა და შეურაცხებითა შეიმუსრვიდეს თავთა თვსთა, რადთა განმზადებულ იყვნენ ესრეთ არა აღშფოთნებად, რაჟამს გარეგან მოიწოდიან მათ ზედა გინებანი და შეურაცხებანი.

4. რაჟამს ჰქმნეთ ყოველი ბრძანებული თქუენდა, მაშინ თქვთ, ვითარმედ მონანი ვართ უხმარნი, რომელი თანა გვედვა ყოფად, ვყავთ; ხოლო სასყიდელი შრომათა ჩუენთაჲ ჟამსა განსვლისასა სოფლით გვეუწყოს.

5. უკუეთუ ესე უზესთაესი იგი ამპარტავანებისა საზღვარი არს, რომელ კაცი კაცთა დიდებისათუს იჩემებდეს სათნობათა მათ, რომელნი არა აქუნდეს, მაშა ესე სადამე დიდისა სიმდაბლისა სახე არს, რაჟამს ბრალნი, რომელნი არა გვექმნენ, არა უვარ ვყოფდეთ, უკეთუ გეწამებდეს ვინ, გინათუ თავითა თვსითცა ვიჩემებდეთ.

6. მრავალნი ვიტყვთ თავთა თვსთა ცოდვილად, და ნუუკუე ეგრეთცა გვაქუნ, ხოლო შეურაცხებაჲმან სხვათა მიერმან გამოსცადის გულისა სიმდაბლე.

7. სინანული არს მოყმობაჲ მუცლისა თვსისაჲ ძლიერად, და მარადის ბრალობაჲ და კდებაჲ სულისა თვსისაჲ მხურვალეებითა გულისაჲთა მტკიცითა.

8. ნუ აცთუნებ თავსა შენსა, ჰოი შვილო მორჩილებისაო, სულითა ამპარტავანებისაჲთა, რადთამცა აღიარებდე რად ცოდვათა შენთა მოძღვრისა თანა, სხვასამცა გარდასწამებდი საქმეთა შენთა; რამეთუ შეუძლებელ არს თვნიერ სირცხვილისა სირცხვილისაგან განრომად. გამოუცხადენ წყლულებანი შენნი მკურნალსა, განცხადებულად არქუ მას და ნუ გრცხვენინ, ვითარმედ: „ჩემ მიერ მოწევნულ

არს ჩემ ზედა სენი ესე, მამაო; ჩემი არს წყლულებაჲ ესე — თვისისა უღებებისაგან, და არა სხვისა ვისგანმე შემთხვეული, და არავინ ქმნილ არს სხუაჲ მიზეზ ჩემისა ამის ბოროტისა: არცა კაცი, არცა ხორცი, არცა სხუაჲ რაჲმე, თვნიერ უღებებისა და დახსნილებისა ჩემისა“.

9. ყოველმან, რომელმან მოიღოს უიძულებელად მოძღვრისაგან საქმე, და შე-რაჲმე-ემთხვიოს მას შინა ვნებაჲ, ნუ მას აბრალობნ, რომელმან მისცა მას საჭურველი იგი, არამედ თავსა თვსსა, რომელ ბოროტად იხმარა; რამეთუ მან მოსცა საჭურველი ბრძოლად მტერისა, ხოლო მან დაისვა გულსა თვსსა.

10. სხუაჲ არს სიმაღლე და სხუაჲ არს არა ამაღლებაჲ თავისა თვისისაჲ, და სხუაჲ არს სიმდაბლე; რამეთუ პირველი იგი მარადლე სხუათა განიკითხავს; მეორე არავის განიკითხავს, არამედ არცა თავსა თვსსა დასჯის; ხოლო მესამე იგი დაუსჯელი არს, და მარადის თავსა თვსსა დასჯის.

11. სიმდაბლე საფარველი არს ღმრთისაჲ და ვერ ხედვად თვსთა სათნოებათაჲ. სიმდაბლე უფსკრული არს შემუსვრილებისაჲ, შეუხებელ ყოველთავე მპარავთაგან, რომელნი იპარვენ ნაყოფთა სულისათა.

12. განვიხილნეთ კეთილად თავნი ჩუენნი, რომელნი-ესე მოსწრაფე და სურვიელ ვართ პოვნად სიმდაბლისა, და უკეთუ ვპოოთ სული ჩუენი, ვითარმედ ყოვლითა მოსწრაფებითა და ძალითა მისითა ჰნებავს, რაჲთამცა მოყუასი ყოველსავე ზედა უმჯობეს და უპატიოსნეს ჩუენსა იყო, მაშინ ცცნათ, ვითარმედ ახლოს არს წყალობაჲ.

13. ჰუნე ამპარტავანებისაჲ არს ცუდად მზვაობრობაჲ,

გარნა სიმდაბლემან ჭეშმარიტმან და ბრალობამან თავისა თვისისამან შეურაცხჰყონ ჰუნეცა იგი და ზედა-მჯდომელიცა მისი, და ძლევისა გალობასა ტკბილად უგალობდენ უფალსა და იტყოდინან: უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს, ცხენები და მხედრები შთასთხია ზღუასა, და უფსკრულსა სიმდაბლისასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

### ლიმონარი

„რაჲთა კაცი ყოველსა ჟამსა თავსა თვისსა აბრალებდეს“.

აბბა კონსტანტინეს მონასტრის ილუმენმა — აბბა სერგიმ — მოგვითხრო:

„რამდენიმე ხანს აბბა გერასიმეს ლავრაში ვცხოვრობდი. იქ იყო ერთი ძმა, რომელიც ძალიან მიყვარდა და ხშირად ვესაუბრებოდი ხოლმე სულის სასარგებლო თემებზე. ერთ-ერთი ასეთი საუბრისას მე გავიხსენე აბბა პიმენის გამონათქვამი: „რაჲთა (კაცი) ყოველსა ჟამსა თავსა თვისსა აბრალებდეს“.

— მამაო, — მითხრა ძმამ, — ამ სიტყვების ძალა და სულიერი სარგებელი საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. მე ერთი უახლოესი მეგობარი მყავდა — იგი ლავრის დიაკონი იყო. ერთხელ ამ დიაკონს მოეჩვენა, თითქოს რაღაცა ისეთი ჩავიდინე, რაც მას შეურაცხყოფდა, და გულნატკენი იყო ჩემზე. როდესაც შევნიშნე, რომ მოღუშული სახით მიყურებდა, ვთხოვე აეხსნა, რა ხდებოდა. „აი ესა და ეს გააკეთე შენ!“ — მითხრა მან. მე სრულიად უდანაშაულო ვიყა-

ვი იმაში, რაშიც ის მადანაშაულებდა, ამიტომაც შევეცადე დამერწმუნებინა, რომ მსგავსი არაფერი მქონდა ჩადენილი. ღიაკონმა კი მიპასუხა: „შემინდე, მაგრამ შენი თავის მართლება მე არ მაკმაყოფილებს“. წავედი ჩემს სენაკში და ჩავუღრმავდი საკუთარ გულს: იქნებ მსგავსი რამ მართლაც მქონდა ჩადენილი, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინე. ერთ დღეს, როცა ღიაკონს ხელში ბარძიმი ეჭირა და ხალხის საზიარებლად ემზადებოდა, მე ღავიფიცე მის წინაშე და ვარწმუნებდი, რომ ნამდვილად არ მიმიძლოდა ბრალი იმაში, რაშიც ის ბრალს მდებდა, მაგრამ მაინც ვერაფერში დავარწმუნე. კვლავ განვმარტოვდი ჩემს სენაკში და შევეცადე გამეხსენებინა წმინდა მამათა გამონათქვამები. ამან კეთილი გავლენა იქონია ჩემზე და ასე მიემართე საკუთარ თავს: „ღიაკონს გულწრფელად ვუყვარვარ, და ამ სიყვარულით აღძრული, პირდაპირ მეუბნება ყველაფერს, რაც გულში აქვს; და მეუბნება იმისთვის, რომ გონს მოვიდე და ვიფხიზლო საკუთარ თავზე და არაფერი უჯერო აღარ ჩავიდინო. დავუშვათ, უბადრუკო სულო ჩემო, შენ არ ჩავიდენია ის, რაშიც გადანაშაულებენ, მაგრამ ნუთუ არ ჩავიდენია სხვა უამრავი უჯერო საქმე, და ნუთუ ყველა მათგანი გახსოვს ახლა? სად არის ის საქმეები, რომლებსაც გუშინ აღასრულებდი, ან სამი დღის, ან ათი დღის წინ? გახსოვს კი ყველა მათგანი? აქედან გამომდინარე, ისიც ხომ არ ჩაივლინე, რასაც ღიაკონი გაბრალებს, და მერე ეს საქციელიც მიგავიწყდა, როგორც ყველა დანარჩენი?“ ასეთ ფიქრებში ვიყავი და ბოლოს ისე განვაწყვე საკუთარი გული, თითქოს მართლაც ჩამედინოს ის, რაშიც მადანაშაულებდნენ და შემდეგ დამვიწყებოდეს. მე მადლობას ვწირავ-



დი ღმერთს და, ამავე ღროს, დიაკონს, რომ მისი მეშვეობით ღმერთმა საკუთარი ცოდვა დამანახა და საშუალება მომცა, შეემნანებინა. ამ ფიქრების შემდეგ ავლექი და დიაკონთან წავედი, რათა შენდობა მეთხოვა და მადლობაც გადამენადა იმისთვის, საკუთარი ცოდვის შეცნობაში რომ დამეხმარა. როგორც კი კარზე დავაკაკუნე, ის მაშინვე გამომეგება და ჩემ წინ მუხლებზე დაემხო. „შემინდე, ძმაო, — მეუბნებოდა, — ეშმაკმა დამცინა და შენ მიმართ ეჭვები ჩამითესა გულში; ახლა კი ჭეშმარიტად თვით ღმერთმა მომიყვანა გონს და შენს უდანაშაულობაში დამარწმუნა“. ამის შემდეგ დიაკონმა მითხრა, რომ უფლებას არ მომცემდა, კვლავ შენდობა მეთხოვა მისგან. „ეს ნამდვილად აღარ არის საჭირო“, — ამბობდა იგი.“

ამ მონათხრობმა დიდი სულიერი სარგებელი მომიტანა და მე ქება-დიდება აღვუვლინე ყოვლადწმიდა სამებას — მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისა არს სუფევა, ძალი და დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

### ეგვიპტელი მამების გამონათქვამები

1. ვინც იქნება თავის ბრალობაში, ის მოიხვეჭს ღვთის შიშს.

2. ნელ-ნელა მიაჩვიე შენი გული, თქვას თითოეულ ძმაზე: „ის ჩემზე უკეთესია“. ამით შენ ისწავლი, ჩათვალო საკუთარი თავი ყველა ადამიანზე ცოდვილად. მაშინ სული წმიდა მოვა და დაიმკვიდრებს შენთან.

3. არანაირი განსაცდელის ღროს არ დაადანაშაულო სხვა ადამიანები, არამედ — მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი; თქვი: „ეს შემემთხვა ჩემი ცოდვების გამო“.

4. უთხრეს ბერს, რომ ზოგიერთები ღირსი გახდნენ ეხილათ ანგელოზები. ბერმა უპასუხა: „ნეტარია ის, ვინც გამუდმებით ხედავს საკუთარ ცოდვებს“.

5. თქვა ბერმა: „თუ მდუმარებას დაიცავ, არ იფიქრო, რომ დიდ სათნოებას აღასრულებ, არამედ თქვი: მე არა ვარ ღირსი, ვილაპარაკო“.

6. ძმამ ჰკითხა მამა პიმენს: „რა არის სიმაღლე (სიამაყე)?“ „თავის მართლება, – უპასუხა ბერმა. – შეწყვიტე თავის მართლება და დამშვიდდები“.

7. მამა პიმენმა უთხრა მამა ისააკს: „განეშორე თავის მართლებას და იქნები მშვიდად მთელი შენი ხანმოკლე მიწიერი ცხოვრების მანძილზე“.

8. მამა ანობმა თქვა: „თუ ადამიანი მიაღწევს ისეთ სიწმინდეს, როგორზეც მოციქულმა თქვა: „ყოველი წმიდა არს წმიდათათვის“, – როცა დაინახავს ძმის ცოდვებს, მისი სათნოება შთანთქავს მათ“. ძმამ ჰკითხა: „რომელი სათნოება?“ ბერმა უპასუხა: „მუდმივი ბრალობა თავისა თვისისა“.

9. თქვა მამა ანობმა: „თუ დაიმდაბლებ თავს, მოიპოვებ სიმშვიდეს, ვინაიდან ვინც თავს აბრალებს, მას ყველაფერის მოთმენა შეუძლია“.

10. თქვა მამა ევაგრემ: „დასაწყისი ცხოვნებისა არის თავის ბრალობა“.

11. მოგვითხრეს მამა კრონეზე, რომ ის მიეკუთვნებოდა ანტონი დიდის ძველი მოწაფეების რიცხვს. იყო ას ათი წლისა. მან მოიპოვა და სიბერემდე შეინარჩუნა ისეთი თავმდაბლობა, რომ როცა სხვებს მოძღვრავდა, გამუდმებით აბრალებდა საკუთარ თავს.

12. თქვა მამა ესაიამ: თავმდაბლობა ისაა, რომ ჩათვალო შენი თავი ყველა ადამიანზე ცოდვილად და იფიქრო: „არა მიქმნიეს კეთილი წინაშე ღმრთისა“.

13. ღირსი დედა თეოდორა ამბობდა: „ვაი შენდა, სხეულო ჩემო, რამეთუ სცან, რა შეგაგინებს, რა გაგხდის ღირსს ცეცხლსა ჯოჯონეთისასა, და მაინც ყოველთვის მას ეძიებ: ანუ განძლომას მუცლისა, და არასდროს დაადუმებ ენასა შენსა! ვაი შენდა, სულო ჩემო! რამეთუ ჩაიღინე ცოდვა და განარისხე ღმერთი, და გიღირს დაუცხრომელი ტირილი და შემუსვრა სულისა, შენ კი გსურს იცხოვრო მხიარულებით და უდარდელად! ვაი შენდა, სულო, რამეთუ განლევ დღეს დღეზე და ეუბნები ღმერთს: „ხვალ მოვინანიებ“, და არ იცი, იცხოვრებ კი ხვალამდე? ვაი შენდა, სულო, რამდენჯერ უნდოდა ღმერთს მოქცევა და შეწყალება შენი, შენ კი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდი მას! რამდენჯერ ღმერთმა განგანათლა შენ, შენ კი ჯიუტობდი! რამდენჯერ განუგემა შენ – შენს მღუმარებაში, შენ კი მაინც გიმძიმდა ის! რამდენჯერ განგამტკიცა შენ, შენ კი მაინც უდებ იყავი! რამდენჯერ დაგმოძღვრა შენ, შენ კი არ უსმენდი! ამისთვის, საწყალობელო სულო, ახლა მაინც სრულიად თუ არ შეინანებ, აწ გარწმუნებ შენ, რომ ცეცხლი მარადიული იქნება საცხოვრებელი შენი“.

აი, ნეტარი თეოდორა ყოველთვის ასე შემუსრავდა და ამდაბლებდა თავის სულს...

## წმ. ანტონი დიდი

1. ბერის ღვაწლი, რომელიც აღემატება მის ყველა საქმეს, არის ის, რომ აღიარებდეს ცოდვებს ღვთისა და მოძღ-

ვრის წინაშე; რომ აბრალებდეს საკუთარ თავს და მიწიერი ცხოვრების ბოლო წუთამდე მზად იყოს მადლობით მიიღოს ყველანაირი განსაცდელი.

2. შეურაცხყოფილმა არ მოიძულო შეურაცხმყოფელი. უთხარი შენს თავს: „მე ღირსი ვარ, რომ ყოველი ძმა მარადის შეურაცხმყოფდეს“.

3. თუ ვინმე გამხილებს რაიმე ცოდვაში, რომელიც შენ არ გიქმნია, დაიმდაბლე თავი მაყვედრებლის წინაშე და მოიგებ უჭკნობ გვირგვინს.

## წმ. ესაია განდევილი

1. ურთიერთშელაპარაკების დროს ამაყი ამბობს გულში: „მე არაფერში არა ვარ დამნაშავე“; თავმდაბალი კი აბრალებს თავის თავს, და არა ძმას, და ამბობს: „მე შევცოდე“.

2. თავმდაბალი ბერი მალავს თავის სათნოებებს და არ აღასრულებს დაცემული ბუნების სურვილებს. იგი ყოველ ჟამს აბრალებს თავს და დაკავებულია შინაგანი ღვაწლით.

3. მაცხოვარს თავზე ედგა ეკლის გვირგვინი. — ეს იმისთვის, რომ ჩვენ ამით ვისწავლოთ გამუდმებული თავის ბრალობა და, თავის ბრალობის დახმარებით, აღშფოთების გარეშე მოვითმინოთ შეურაცხყოფა.

4. თავის განკითხვა წინ უნდა უძლოდეს მოყვასის განსჯას, ამით მოიპოვება თავმდაბლობა.

5. ვინც თავს იმართლებს, ის განუმორება სინანულს.

6. თავის ბრალობა ის ადგილია, სადაც მოიპოვება სიმშვიდე.

7. მონაზვნური ცხოვრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ აყვედრო შენს თავს და საკუთარი თავი ჩათვალო ყვე-

ლაზე უარესად.

8. თუ საჭიროა ესაუბრო საკუთარ თავს, მიართვი მას არა თავის ქება და განდიდება, არამედ თავის ბრალობა.

### წმ. მაკარი დიდი

სრულყოფილება მიემადლება მათ, ვინც მცირედშიც კი არავის განიკითხავს, არამედ განიკითხავს მხოლოდ საკუთარ თავს და ითმენს ყოველგვარ შეურაცხყოფას.

### მამა მოსე

როცა მონა თავის თავზე აიღებს ბრალს და იტყვის — „მე შევცოდე“, ბატონი იმავე წუთში პატიობს მას.

## თავი II

### სიკვდილის ხსოვნისათვის

ქრისტიანისთვის სიკვდილის ხსოვნა ერთ-ერთი მთავარი იარაღია ცოდვებთან ბრძოლაში. როგორც მამები გვასწავლიან, ბოროტი სულები ადამიანს სულიერად აძინებენ, ავიწყებენ მისი ცხოვრების მიზანს, სიკვდილს, საშინელ სამსჯავროს, მარადიულ სატანჯველს, და ამის შემდეგ ადვილად აგდებენ ცოდვაში. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს ეს ცხოვრება დაუსრულებელი ეჩვენება, ცოდვის სიმწარეს ვერ გრძნობს და ჰგონია, რომ ღმერთი, თავისი მოწყალებით, ყველაფერს იოლად მიუტევებს. თუ ადამიანი ხშირად იხსენებს თავის აღსასრულს, ფიქრობს იმაზე, რომ ყოველი დღე შეიძლება მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდეს, ფიქრობს საშინელ სამსჯავროზე და ცოდვილთა მარადიულ ტანჯვაზე, მას ბოროტი სული ადვილად ვერ ჩააგდებს ცოდვაში. ამიტომაც გვირჩევენ წმიდა მამები, ხშირად ვიფიქროთ სიკვდილზე, ამასოფლის წარმავლობაზე, ჯოჯოხეთის ტანჯვაზე და სასუფევლის ნეტარებაზე. მონაზვნებს ამისთვის მეტი საშუალება აქვთ, რადგან თავისუფალნი არიან ამქვეყნიური საზრუნავისგან.

### პატერიკი

1. თქუა ბერმან: „უკუეთუ ღმრთისათჳს დაუტევენ ნათესავნი შენნი და განეშორო მათგან, ნუცა-ლა ჳსენებასა მათსა მოუშუებ გულსა შენსა, არამედ იჳსენებდი დღესა მას სიკუდილისასა და საუკუნეთა მათ სატანჯველთა“.

2. მამაჲ თეოფილე მთავარებისკოპოსი ოდეს აღესრულებოდა, თქუა: „ნეტარ ხარ შენ, მამაო არსენი, რამეთუ

მარადის იხსენებდი ჟამსა ამას“.

3. თქუა ბერმან: „უკმს კაცსა, რაათა ყოლადვე იწურთიდეს საშჯელსა ღმრთისასა, ყოლადვე ეშინოდის წარდგომად მუნ“.

4. თქუა მამამან ეპირიქე: „გონებადმცა შენი არს ყოლადვე სასუფეველისათვს ცათაჲსა და ადრე დაიმკვდრო იგი“.

5. სხდეს ოდესმე ბერნი, და იყო მათ შორის გამოძიებაჲ წსენებისათვს სიკუდილისა, და გამოუცხადეს ურთიერთარს. ხოლო თქუა ერთმან: „მე არა ვჰგონებ მწუხრსა, თუმცა მივიწიე განთიადმდე“. და ჰრქუეს მათ, ვითარმედ: „არა არს ეგე სრული წსენებაჲ სიკუდილისაჲ“. სხუამან თქუა, ვითარმედ: „მე ყოველთა ფშვნვათა ჩემ თანა ვჰგონებ აღმოსლვასა სულისა ჩემისასა და ესრეთ ვძრწი ყოლადვე“. მაშინ ყოველთა მისცეს ნეტარებაჲ ბერსა მას და თქუეს: „შენ გაქუს, მამაო, ჭეშმარიტად წსენებაჲ სიკუდილისაჲ, ლოცვა ყავ ჩუენთვს, რაათა ღმერთმან ლოცვითა შენითა მოდრიკნეს გულნი ჩუენნი მაგასვე გულის-სიტყუასა შენსა, რაათა არა უცნაურად მოიწიოს ჩუენ ზედა ჟამი იგი საშინელი“.

6. თქუა ბერმან: „უკუეთუ ჰქონდის კაცსა მას სიკუდილი წინაშე თუალთა მისთა, მან სძლო სულმოკლებასა“.

7. თქუა ბერმან: „ილუაწე ღუმილისათვს და ნურას ზრუნავ კორციელსა, და ეკრძალე წურთასა შენსა და დაწოლასა და აღდგომასა შენსა, და ყოლადვე იყავნ შიში ღმრთისაჲ და შიში სიკუდილისაჲ განუშორებელ გონებისაგან შენისა, და ზედა-მოსლვისა სულთაგან უკეთურთა არა გეშინოდის“.

8. თქუა ბერმან, ვითარმედ: „იყო ძმა ვინმე მოსწრაფე და ეკრძალებოდა თავსა თვსსა კეთილად, ხოლო ოდესმე მცირედ უღებ იქმნა და კუალად გულისხმა-ყო და ეტყოდა სულსა თვსსა: „სულო, ვიდრემდის უღებ ხარ ცხოვრებისათვს შენისა და არა გეშინის შენ საშჯელისათვს ღმრთისა? ხოლო აწ განიღვძე, რაათა არა იპოო ჟამსა მას სიკუდილისასა უღბობასა შინა, რაათა არა მიეცე შენ სატანჯველთა მათ საუკუნეთა“. და ამას რაა ეტყოდა იგი თავსა თვსსა, განაღვძებდა იგი კუალად საქმედ ღმრთისა.

9. თქუა ბერმან: „ყოველსავე ჟამსა და ყოველსა საქმესა შინა, რასაცა იქმოდი, განიზრახვიდე გულსა შენსა, ვითარმედ: „უკუეთუ ვიყო ამას საქმესა შინა, და მიწოდოს მე ღმერთმან, ვითარ-მე ყოფად ვარ?“ და იხილო, თუ რაა-ძი მოგიგოს სჯინდისმან შენმან, რომელი ითარგმანების „შინაგანი გონებაა“, რომელი მოგვცა ღმერთმან ცნობად კეთილისა და ბოროტისა. და თუ გრქუას შენ, ვითარმედ: „დაისაჯები“, ნულარა იქმ საქმესა მას, არამედ განუტევე და სხუად შეიპყარ, ვიდრემდის გულსავსე იქმნას შინაგანი გონებაა შენი, ვითარმედ უკუეთუ იპოო ამას შინა, არა დაისაჯო; რამეთუ ჯერ-არს ჩუენდა, რაათა მარადის ფრთხილ ვიყვნეთ და მღვდარე საქმეთა შინა, რამეთუ მტერნი გვსხენ დაუძინებელნი. და უკუეთუ ილოცვიდე, გინა იმარხვიდე, გინა გეძინოს, გინა გელძოს, გინა შინა იყო, გინათუ გარე იყო, გინა მართოდ, გინა სხუასა თანა და რასაცა შინა იყო, დააჩვე გონებაა შენი, რაათა ყოლადვე სიკუდილსა მოელოდის და იწურთიდეს: უკუეთუ აწ მოიწიოს, რაა-მე ყოფად არს ჩემდა? და იხილე, თუ რაა გრქუას შენ სჯინდისმან შენმან, რომელ არს „შინაგანი გონებაა“



შენი, და რააცა გრქუას, იგიცა ქმენ და ნუ შეუდგები ნებასა შენსა, რამეთუ მტერი არს იგი სულისა შენისაჲ, არამედ შეუდეგ სზნიდისსა შენსა, რომელსა უნებს კეთილი შენი; და თუ არა, მას დღესა მანვე გამხილოს წინაშე ღმრთისა“.

10. თქუა მამამან აგათონ: „უღირს კაცსა, რაათა ყოველსა ჟამსა ხედვიდეს სატანჯველსა“.

11. თქუა მამამან ელია: „მე სამისა საქმისაგან მეშინის: ოდეს სული ჩემი გუამისაგან გამოვიდოდის, და ოდეს მიჰყვანდეს წარდგომად წინაშე ღმრთისა, და ოდეს გამოვიდოდის განჩინებაჲ ჩემთვის“.

12. ძმამან ჰკითხა მამასა კრონეს: „რომლითა სახითა მოვიდეს კაცი სიმდაბლესა?“ ჰრქუა მას ბერმან: „შიშითა ღმრთისაჲთა“. ჰრქუა მას ძმამან მან: „და რომლითა საქმითა მოვიდეს კაცი შიშსა ღმრთისასა?“ ჰრქუა მას ბერმან: „მე ესრე ვიტყვ, რაათა განაშოროს კაცმან თავი თვისი ყოვლისაგან საქმისა და მისცეს თავი თვისი შრომასა ჯორცთასა და, რავდენ ძალ-ედგას მოივსენებდეს ჯორცთა განსლვასა და საშჯელსა ღმრთისასა“.

13. მერმე თქუა ბერმან, რამეთუ: „ესე სამნი საქმენი თავარიან ყოვლისა და უღირს კაცსა, რაათა დასხნეს წინაშე თუალთა მისთა ყოლადვე: მოიგოს ვსენებაჲ სიკუდილისაჲ ყოველსა ჟამსა, და ყოველთა კაცთაგან მოკუდეს, და დაადგრეს ყოლადვე ღმრთისა თანა. რამეთუ უკუეთუ არა მოვსენე იყოს კაცი სიკუდილისა, ყოლადვე ვერ შემძლებელ არს მოკუდინებად ყოველთაგან კაცთა; და უკუეთუ არა მოკუდეს ყოველთა კაცთაგან, ვერ შემძლებელ არს დადგრომად ღმრთისა თანა მარადის“.

14. თქუა ბერმან: „უკუეთუმცა შესაძლებელ იყო მოსლვასა ღმრთისასა, შემდგომად აღდგომისა, აღმოსლვად სულთა კაცთაჲ შიშისაგანმცა, ყოველი სოფელი კუალად აღესრულა შიშისაგან და ძრწოლისა, ვითარ უკუე არს ნილვად ცანი განხუმულნი და გამოჩინებაჲ ღმრთისაჲ რისხვითა და გულის-წყრომითა ღიღითა და ერნი ანგელოზთა თანა ურიცხუნი ერთბამად ყოველთა კაცთა ხილვად. ამისთჳს ჯერ-არს ცხორებაჲ, ვითარცა ღღითი-ღღე სიტყუაჲ მიცემად ღმრთისა საქმეთა ჩუენთათჳს და სლვისა ჩუენისათჳს“.

15. იხილა ვინმე ბერმან მონაზონი, რომელი იცინოდა, და ჰრქუა მას: „ნუ იცინი, ძმაო, რამეთუ განსდევნი შიშსა ღმრთისასა სულისაგან შენისა“. სხუამან იხილა ვინმე ძმათაგანი, რომელი იცინოდა, და ჰრქუა მას: „წინაშე ცისა და ქუეყანისა ყოვლისავე ცხოვრებისა ჩუენისათჳს თანაგუაც სიტყუაჲ მიცემად ღმრთისა და შენ იცინია?“

16. თქუა ნეტარმან ევსუქი: „სული ნუმცა უღებ არს, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეს, სიკუდილი მომავალ არს“.

17. თქუა მამამან იოანე: „ცრემლითა მით, რომლითა ტირნ კაცი სიკუდილისა მისისა ჟამსა, ეგევითარმან მან უშვის შიში ღმრთისაჲ“.

18. თქუა მამამან გრიგოლი: „შიში ღმრთისაჲ ესე არს, ოდეს ვიხილოთ ქადაგებული სატანჯველი ჯოჯობეთისაჲ და განვეშორნეთ ბოროტისაგან“.

## წმ. იოანე სინელი

1. ყოვლისა სიტყვსა წინამძღუარი არს მოგონებაჲ, და

ყოვლისა ტირილისა და გლოვისა წინამძღუარი არს ხსენებად სიკუდილისა და ცოდვათა თვსთაჲ, ამისთვისცა წესისაებრ თვისისა სიტყუასაცა შინა ჩუენსა დავაწესეთ.

2. ხსენებაჲ სიკუდილისაჲ არს მარად-დღე სიკუდილი.

3. ხსენებაჲ სიკუდილისაჲ არს სულთქუმაჲ სამარადისოჲ.

შიში სიკუდილისაჲ არს საქმე ბუნებითი, ურჩებისაგან მოწვევული; ხოლო ძრწოლაჲ სიკუდილისაგან სახე არს შეუნანებელთა ცოდვათაჲ.

4. შეეშინა ქრისტესა სიკუდილისაგან, გარნა არა შეძრწუნდა, რადთა ორთავე ბუნებათა თვისებანი გამოაჩინნეს.

5. ვითარცა პური უსახმარეს არს ყოველთა უფროჲს საზრდელთა, ეგრეთვე ხსენებაჲ სიკუდილისაჲ უადრეს არს ყოველთავე გულის-სიტყუათა და წურთათა.

6. ხსენებაჲ სიკუდილისაჲ ერსა შორის მყოფთა თანაჲ კშობს შრომათა და მოლუაწებათა, და შეურაცხებისა თავსდებასა; ხოლო მარტოდ მყოფთა თანა ტკივილსა გულისა-სა; და დედაჲ მისი არს სიტკბობეჲჲ სანატრელი, რომლისაგან იქმნების ზრუნვათა დატევებაჲ, და ლოცვაჲ სამარადისოჲ, და დაცვაჲ გონებისაჲ, და ესე საქმენი არიან მშობელნიცა და ასულნიცა მისნი.

7. ვითარცა ცხადად საცნაურ არს განყოფილებაჲ ბრპენისაჲ ვეცხლისაგან, დაღაცათუ მსგავს მისა არს, ეგრეთვე ცხადად საცნაურ არს გულისხმის-მყოფელისა მიერ ბუნებითი და გარეგან ბუნებისა შიში სიკუდილისაჲ.

8. ესე არს სახე და სასწაული ჭეშმარიტისა სიკუდილისა ხსენებისაჲ: შეურაცხებაჲ ყოველთა საქმეთა სოფლისათა და ნებისა თვისისა სრულიად დატევებაჲ.

9. რომელი მარად-დღე სიკუდილსა მოელოდეს, იგი ჭეშმარიტად გამოცდილ არს; ხოლო რომელსა მარად-დღე სუროდეს სიკუდილისათვის, იგი სამართლად წმიდა და სრულ-არს.

10. არა ყოველი გულის-თქუმაჲ სიკუდილისაჲ კეთილ არს, რამეთუ არიან, რომელნი მარადის სცთებიან მძლავრებითა ჩვეულებისაჲთა, და სიმდაბლით ჰსურის, რაჲთამცა მოიწია სიკუდილი და განერნესცა საქმისა მისგან. და არიან სხუანი, რომელნი უგულისხმოებით ინატრიან სიკუდილსა უგუნურებით; და არიან სხუანი, რომელთა სინანული არა ჰნებავსთ, და სასოწარკვეთილებისაგან სიკუდილდ მიისწრაფიან; და არიან სხუანი, უკეთუ ოდენ არიან სადა აწ ესე ვითარნი, რომელთა შორის სული წმიდაჲ დამკვიდრებულ არს, და ძალითა მისითა ჰსურის განსვლისათჳს ამიერ სოფლით.

11. ვიეთნიმე გამოეძიებენ და იტყვან თუ, ვინაჲთგან ესრეთ სარგებელ მეყოფვის ჩუენ სიკუდილისა ხსენებაჲ, რაჲსათჳს დაფარა ღმერთმან ცნობაჲ ჟამისაჲ მის წინაჲსწარვე ჩუენ მიერ? და არა იციან, თუ უკუეთუმცა კაცთა სიკუდილი თჳსი წინაჲსწარ იცოდეს, არამცა ვინ მოვიდოდა პირველ მრავლისა ჟამისა ნათლის-ღებად, ანუ მონაზონებად, არამედ ყოველთამცა დღეთა მათთა გარდაიხდიდეს კაცნი უსჯულოებითა და ჟამსა სიკუდილისასა მოვიდოდეს ნათლისღებად და სინანულად.

12. რომელსა ენებოს მოგებაჲ ხსენებისა სიკუდილისაჲ და ხსენებისა ღმრთისაჲ, და მისცეს თავი თჳსი ზრუნვათა და უცალოებათა ხორციელთა, — მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან შეიკრნის ხელნი თჳსნი და ენების ცურვაჲ.

13. ხსენებამან სიკუდილისამან განკუეთის გემონი ჭამალთან, ხოლო რაჟამს ესევეთარნი იგი გემონი სიმდაბლით განიკუეთნიან, მათ თანა განიკუეთნიან ვნებანიცა.

14. ვითარცა სრულსა სიყუარულსა იტყვან მამანი, ვითარმედ არა სადა დაეცემის, ეგრეთვე მე სრულსა სიკუდილისა ხსენებასა უშიშად სახელვსდებ.

15. მრავალნი არიან მოლუაწეთა გონებისა საქმენი, ვითარ: სიყუარული ღმრთისაჲ, ხსენებაჲ ღმრთისაჲ, ხსენებაჲ სასუფეველისაჲ, ხსენებაჲ შურისა წმიდათა მოწამეთაჲსაჲ, ხსენებაჲ ხედვისა ღმრთისაჲ, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „წინაჲსწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის“; ხსენებაჲ წმიდათა მათ და უხილავთა ძალთაჲ; ხსენებაჲ სიკუდილისაჲ, შემთხუევისა ღმრთისა, სატანჯველთა და მერმისა მის განჩინებისა; დიდთა საზომთაგან ვიწყეთ, ხოლო უცთომელთა და დაუცემელთა ზედა დავასრულეთ.

16. მითხრობდა ძმაჲ ერთი მეგვიპტელი, ვითარმედ შემდგომად მცირედ დანერგვისა გულად ჩემდა ხსენებისა მის სიკუდილისა, ვინებე ოდესმე ნუგეშინისცემაჲ ხორცთა ჩემთაჲ მცირედ, რამეთუ ესრეთ ჯერ იყო; არამედ ხსენებამან მან, ვითარცა აღვირმან დამიმჭირა, და დამაყენა საქმისა მისგან, და საკვრველი ესე არს, რომელ ვინებეცა განშორებაჲ მისი, და ვერ შეუძლე.

17. არა დავიდუმო მითხრობად შენდა ევსუქისიცა ქოზიბელისა საქმე, რამეთუ ესე პირველად იყოფებოდა უდებებით, და არა ზრუნვიდა სულისა თვისისათჳს ყოვლადვე. და ვითარ იყო ესე ესრეთ, მოიწია მის ზედა სენი ფიცხელი და აღტაცებულ იქმნა იგი, და ჟამ ერთ ჭეშმარიტებით განვი-

და მისგან სული მისი, და მერმე მოეგო კუალად თავსავე თვსსა, და მევედრა ჩუენ, რომელნი ვიყვენით მუნ, რაათა განვიდეთ გარე, და ვითარცა განვედით გარე, აღღვა მეყსეულად და დაყო კარი სენაკისა თვისისა და დაჯდა მუნ შინა შეყენებულად ათორმეტ წელ. და არავის მიუგო სიტყუაჲ ყოვლადვე, არცა მცირე, არცა დიდი, არამედ პურსა ოდენ და წყალსა მიიღებდა ღუმილით, და ზინ მარადის, და გონებაჲ მისი აღტაცებულ არნ ხილვათა მათ მიმართ, რომელნი იხილნა და არნ ესრეთ მგლოვარედ და მჭმუნვარედ, რომელ არა ოდეს შეეცვალა, უწყის უფალმან, წესი და სახეთვისი, არამედ მარადის ვითარცა განლიგებული\* დგა, და ცრემლნი მხურვალენი მდუმრიად დიოდინ. ხოლო ოდეს მოიწია აღსასრული მისი, განვალეთ კარი და შევედით, და ფრიად ვევედრენით, რაათამცა მოგვიგო სიტყუაჲ, და სხუა არარაჲ მოგვიგო, გარნა ესე ოდენ, ვითარმედ: „შემინდვეთ, მამანო, რამეთუ არავინ არს, რომელმანცა მოიგო ხსენებაჲ სიკუდილისაჲ, და შეუძლომცა მან ქმნად ცოდვისა ოდესმე“. ხოლო ჩუენ გვიკვრდა, რაჟამს ვხედევდით მას, რომელი პირველ ესევეითარი იყო და ესრეთ მეყსა შინა შეიცვალა შეცვალეებითა მით სანატრელითა.

ხოლო მიიცვალა რაჲ წმიდაჲ იგი, და დავმარხეთ გუამი მისი სამარხოსა მას, რომელ არს მახლობელად მონასტრისა, და შემდგომად დღეთა მცირედთა მოვხადეთ საფლავსა მას, და ვერღარა ვპოეთ წმიდაჲ იგი გუამი მისი, რამეთუ უფალმან მისცვალა იგი, ვინაჲცა ენება, რაათამცა ამასცა ზედა გულსავსე-ყვნა იგინი ყოველნი, ვითარმედ შე-

---

\* გაოგნებული

უწირავს სინანული მისი, რადთა არა უსასო იყვნენ ყოველნი, რომელთა ჰნებავს შემდგომად უღებებისაცა მოსლვამ სინანულად.

18. ვითარცა უფსკრულისათჳს ზღუათაჲსა იტყჳან, ვითარმედ მიუწთომელ არს, ეგრეთვე ხსენებისა სიკუდილისა სიწმიდეცა და საქმეცა მიუწთომელ არს, და გულსავსე გყოს ამას ზედა პირველ თქუმულმან ამან წმიდამან.

19. გულისხმა-ვყოთ, ვითარმედ ესეცა ნიჭი არს ღმრთისაჲ სხუათა მათ ყოველთა ნიჭთა თანა მისთა. თუ არა, ვითარ მრავალგზის საფლავებსაცა მივიდეთ და უცრემლოდ და განფიცებულად ვეგნეთ; და მრავალ-გზის თჳნიერ ნიღვისა რაჲსამე ესე ვითარისა ღმობიერ ვიქმნით და ვსცნით, ვითარმედ ღმრთისა ნიჭი არს იგი ჟამი.

20. რომელი ყოვლისაგანვე ხორციელისა საქმისა მოკუდეს, მან მოიგოს ხსენებაჲ სიკუდილისაჲ; ხოლო რომელი ჯერეთ შეკრულ არს სიყუარულსა საქმეთა და ზრუნვათაცა, ვერ შემძლებელ არს დადგრომად ხსენებასა შინა სიკუდილისასა ესევეითარი, რამეთუ მტერი არს იგი თავისა თჳსისაჲ.

21. ვერ შემძლებელ არიან კაცნი სიმართლით გარდახდად ღღისა ერთისაცა, გარნა ესრეთ, რადთა ყოველსა ღღესა ვიტყოდეთ თვითოეული, ვითარმედ: „ესე ღღე აღსასრული არს ჟამთა და წელთა ჩემთაჲ, და მივალ წინაშე საყდართა და დალიჭსა საშინელსა და შევემთხვევი მსაჯულსა სიმართლისასა“.

22. ხსენებაჲ ცეცხლისა მის საუკუნოჲსაჲ მარადის დაწვებოდენ და აღდგებოდენ შენტანა, და ვეროდეს გეუფლოს შენ დახსნილებაჲ ჟამსა ლოცვისასა.

23. აღვირ ასხენ თუალთა წურთითა სიკუდილისაჲთა, რომელნი-იგი მიმოვლენ განცდად გუამთა სიკეთესა და შუენიერებასა.

24. ნეტარ არს მის მონოზონისა, რომელი დაშურა ყოველთა დღეთა, და სიმდაბლითა და ღმრთის-მსახურებითა აღასრულნა ჟამნი თვისნი, და არა პოვა განსუენებაჲ ჟამ ერთცა, არამედ განიზრახავნ და იტყვნ, ვითარმედ: „ესე არს უკანაჲსკნელი დღე დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა სოფელსა ამას“.

25. ნეტარ არს მის მონოზონისა, რომელი შემძლებელ იყოს თუალითა გონებისაჲთა ხედვად მარადის ძალთა მათ უხილავთა. ხოლო სანატრელ არს იგიცა და დაუცემელ ჭემმარიტად, რომელი ხილულთა ამათ თუალთა მიერ მარადლე ღაწუთა თვისთა დაალტობდეს – ხსენებისაგან სიკუდილისა და ცოდვათა თვისთასა – ცრემლითა მით სანატრელითა. და მე ვგონებ, ვითარმედ არცა პირველ თქმული იგი საზომი იპოს თვინიერ მეორისა ამის.

26. ცრემლთა, რომელნი ხსენებითა სიკუდილისაჲთა იყუნენ, შვნიან შიში, და შიშმან შვის უშიშროებაჲ, და მერმე გამობრწყინდის სიხარული, და რაჟამს სიხარული იგი დაუსრულებელი სრულ იქმნის, გამოჩნდის ყუავილი იგი ბრწყინვალისა მის სიყუარულისაჲ.

27. სამარადისოჲ ხსენებაჲ სიკუდილისაჲ შობს შიშსა, და შიში იგი მოიყვანებს გლოვასა, ხოლო რაჟამს გლოვაჲ ჩვეულებითა დაემტკიცოს სულსა შინა, ვითარცა ბუნებად შეექმნების და ძნიად წარმავალ არს.

28. მარხვაჲ დედაჲ არს სიმრთელისაჲ, და მომახსენებელი სიკუდილისაჲ.



29. ხსენებად სიკუდილისა და წურთად ქრისტეს ვნება-  
თად შემწე არიან სიწმიდისა.

30. ლოცვად სამარადისოდ წარმწყმედელი არს მოწყინე-  
ბისა; ხოლო ხსენებად სასჯელისა მომატყვებელი არს  
მოსწრაფებისა.

31. ვითარცა შეუძლებელ არს, თუმცა კაცსა მშიერსა  
არა მოეხსენებოდა პური, ეგრეთვე შეუძლებელ არს თვნი-  
ერ ხსენებისა სიკუდილისა და სასჯელისა ცხოვრებად.

32. იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: „უაღრეს არს ლოცვად  
ხსენებასა სიკუდილისასა“, ხოლო მე ვადიდებ გუამსა ერ-  
თსა ორითა ბუნებითა.

33. საკვრველ არს, ვითარ წარმართთაცა ესრეთ სთნდა  
ესე, ვიდრელა თქუეს, ვითარმედ: „სიბრძნე — ხსენებად  
არს სიკუდილისა“; რომელსა შინა წმიდადმცა ვიპოვებით  
ჩუენ, მორწმუნენი, მადლითა უფლისადათა. რომლისადა არს  
დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

### წმ. აბბა დოროთე

ჟამსა უგრძნობელობისა სულისასა, ძმაო, ფრიად სარ-  
გებელ არს ჩუენდა კითხვად საღმრთოთა წერილთად და  
ღმობიერ მყოფელთა სწავლათა ღმერთშემოსილთა მამათა-  
სა; ხსენებად საშინელისა ღღისა მის განკითხვისა ღმრთი-  
სა, სხეულისაგან სულის გამოსლვისა და შემთხვევად სა-  
შინელთა ძალთა ბოროტთა, რომელთა თანა იგი იქმოდა  
ბოროტსა ამა საწუთოსა და საღმობიერსა ცხოვრებასა ში-  
ნა; ეგრეთვე ხსოვნად ამისი, რომელ თანამდებ ვართ წარ-  
დგომად საშინელისა და მართლმსაჯულისა წინაშე ქრის-  
ტესა, და არათუ საქმეთა ოდენ, არამედ სიტყუათა და გუ-

ლის-ზრახუათაცა პასუხის გებად წინაშე ღმრთისა, წინაშე ყოველთა ანგელოსთა მისთა, და წინაშე ყოველთა დაბადებულთა; ხსოვნად განჩინებისა მის, რომელი გამოვალს საშინელისა და მართლ-მსათჯულისა მისგან მარცხენით მისა მდგომარეთათვის: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვს და ანგელოზთა მისთათვს“. ეგრეთვე კეთილ არს ხსოვნად დიდთა მწუხარებათა და განსაცდელთა კაცობრივთაჲ, რაჲთა სახითა ამით უნებლიეთ ღმობიერ იქმნეს ფიცხელი და უგრძობელი სული და მოვიდეს გრძნობასა შინა თვსთა ცოდვათასა.

### წმ. თეოდორე სტუდიელი

1. ყოველსა ჟამსა და ყოველსა დღესა სარგებელ არს ხსენებაჲ სიკუდილისაჲ, და ჯერ არს, რაჲთა ყოველსა ჟამსა ამიერ განსლვისა ჩუენისათვს და მერმისა მის საქმეთა ჩუენტა სიტყვს მიცემისათვს ვზრახვიდეთ.

2. იგონებლით დიდსა მას და განჩინებულსა დღესა მოსლვისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელსა შინა მსაჯულმან მან სიმართლისამან დაადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისსა და თიკანნი მარცხენით, და მარჯუენეთთა უწოდოს სანატრელი იგი და საწადელი სახელი: „მოვედით, კურთხეულნო, მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენტვს სასუფეველი პირველ სოფლისა დაბადებისა“. ხოლო მარცხენითთა მათ ჰრქუას: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, განმზადებულსა ეშმაკისათვს და ანგელოზთა მისთათვს“. ესე ხმად ძრწოლითა და შიშითა და ზარ-ტეხითა აღსავსე არს! ამისი

ჯერ არს ჩუენდა გონებაჲ, და შეკრდომაჲ, და ტირილი და ღმრთისა მოწყალე-ყოფაჲ თავთა ჩუენთათჳს, ვიდრე გამოცდილებაჲდმდე სმენილთა ამათ! რამეთუ ცეცხლი არა დაშრტების და მატლი არა მოკუდების, და ბნელი არა განქარდების, და საკრველნი არა დაიხსნებიან, და ტარტაროსი არა დაილევის, და ღრჭენაჲ კბილთაჲ არა დაღუმნების, და სხუანი ყოველნივე სატანჯველნი საუკუნო არიან. ამას უკუე ვიგონებდეთ, ძმანო!

3. ნუ საწუთოსა ამას სიტკბობასა მისდევთ და საუკუნოხსა მისთჳს უზრუნველ ხართ, რამეთუ მოვიდეს, შვილნო ჩემნო, მოვიდეს და არა ჰყოვნოს, რომელსა იგი ეგულებების განყოფაჲ სულისაჲ ხორცთაგან — საშინელი ანგელოსი! მოვიდეს ჟამი სნეულებისაჲ, მოიწიოს ჟამი ხურვებისაჲ და მოვიდეს ჟამი სულთა აღმოსლვისაჲ! შესადრწუნებელ არს ესე ყოველი და საშინელ, და ესოდენ საშინელ არს, ვიდრელა ვერ დაუთმობთ, და მოკუდებით და მერმე, შემდგომად განყოფისა, რამე იქმნას, რაჟამს ანგელოსნი მოვიდენ, ანუ რომელმან კერძომან ჰსძლოს წარყვანებად ჩუენდა — ანგელოსთა-მე გუნდმან, ანუ ეშმაკთამან? უეჭუელად, რომელნიცა შევიყუარენით, მათცა მეყსეულად შემიტკბნენ ჩუენ. უკუეთუ სიწმიდე და მორჩილებაჲ და სიბდაბლე და სხუანი სათნობანი შევიყუარენით, საცნაურ არს, ვითარმედ — ანგელოსთა; ხოლო უკუეთუ ცუდად მზუაობრობაჲ და კადნიერებაჲ, და ცილობაჲ, და სიცილი, და განცხრომაჲ, და ამპარტავნებაჲ, უეჭველ არს, ვითარმედ — ეშმაკთა, რამეთუ ვნებანი ეშმაკ არიან, ვითარცა სათნობანი — ანგელოს. ვინმე უკუე ჰსძლოს, ანუ ვინ წარიყვანოს სული ჩუენი? შემიწყალეთ მე, შემიწყალეთ. და

ზოგად ყოველთავე შეიწყნარებით სათნობანი, რაფთა წმიდათა ანგელოსთა წარმიყვანნენ ჩუენ და მათ ჰსძლონ. ნუ გჰყოფთ ნებასა ეშმაკთასა, რაფთა იგინი მძლე გვექმნენ და წარგვიყვანნეს ჩუენ, და უბადრუკებაჲ და ვაებაჲ დაუსრულებელი მოიწიოს ჩუენ ზედა.

4. სხუანი არიან ჩუენნი ზრუნვანი და სხუანი — მეუფისა ჩუენისა სათნონი ზრახვანი, ესე იგი არს: სარგებელისათჳს სულისა, სათნობათათჳს და ცხოვრებისათჳს ნეტართა მამათა ჩუენთაჲსა, და სიკუდილისათჳს და შემთხუევისა წმიდათა ანგელოსთასა, განყოფასა მას სულისასა და სიტყჳს მიგებისათჳს წინაშე საშინელსა მას საყდარსა ქრისტესსა, მოსაგებელისა მისთჳს მერმისა და სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რაფთა ესრეთ, ვითარცა რაჲ ანგელოსნი, ვჩნდეთ ძალისაებრ ჩუენისა ბრწყინვალედ და განვანათლებდეთ მყოფთა სოფლისათა, ვინაფთგან უქმად მეტყუელებისაგან და ამაოდ ზრახვისა შეგვემთხუევის ჩუენ უშვერთაცა საქმეთა შთავრდომაჲ და განკითხუათა მავნებელთა შეწყნარებაჲ.

5. რამცა იყო ესრეთ კეთილ და სარგებელ სულისა, ვითარ ხსენებაჲ სიკუდილისაჲ.

6. ნეტარ არს და სავსე სარგებელითა, რომელმან უნდოჲსა ამის და სახედ სიზმრისა ძვირის-ხილვისა წილ, აღირჩიოს დაუსრულებელი იგი ნეტარისა მის და უზრწნელისა ცხოვრებისა საშუებელი! ნუ უკუე შევიწყალებთ ხორცთა ჩუენთა, რამეთუ წმიდათა მტუერად შეჰრაცხნეს იგინი და დასცემდეს მათ მოლუაწებისა მიერ, რამეთუ წინააღმდეგომ არს სულიერისა ცხოვრებისა განსუენებაჲ მათი. მცირედლა და წუთ ერთ განვიდეთ ცხოვრებისა ამის-

გან, ძმანო, ვითარცა ესერა სახენი ამისნი მარადლე მაუწყებენ ჩუენ, რამეთუ შემდგომითი შემდგომად ძმანი ჩუენნი საფლავად მირბიან და კაცად კაცადი თვითო სახითა სიკუდილითა საფლავად მიისწრაფის, რამეთუ მცირედ უწინარეს ათნი ერთბამად მოიხუნეს აქა წყლითა მოშობილნი, და კუალად ორნი განვიდეს ერთბამად ესრეთ საფლავთა, ხოლო დაუტევებენ სახლთა და ობოლთა ოხერთა საქმეთაგან. და ჩუენცა დავადგრეთა აქა საუკუნოდ? ნუ იყოფინ! არა სადა! ეჰა, ეჰა, ძმანო საყუარელნო, ვითარ საშინელ არს საიდუმლოჲ სიკუდილისაჲ და ვითარ თანაგვაძს მარადის განცდაჲ და გულისხმის-ყოფაჲ და შიში და გოდებაჲ, ვითარმედ კნინლა და ჩუენცა უეჭუელად აღვესრულნეთ. მივხედნეთ და განვიცადოთ გონებითა, თუ ვითარ იქმნას განყოფაჲ სულისაჲ უბადრუკთა ამათ ხორცთა ჩუენთაგან, გინა თუ ანგელოსთა ღმრთისათა მოსვლაჲ; და ნუმცა არს სათქუმელ, ვითარმედ — ეშმაკთაცა, რამეთუ დამონებულთა და დანთქმულთა ვნებათა მიერ ესეცა ბოროტი წარეკიდოს, და მერმე ვიხილნეთ ხატნი იგი საშინელნი და გვესმას ხმაჲ იგი საზარელი, ვითარმედ: „გამოვედ, სულო, და მოვედ და მიეც სიტყუაჲ საქმეთა შენთათჳს, რომელნი-იგი ცხოვრებასა ამას შინა ჰქმენ“. ვითარსა ტკივილსა, ანუ ვითარსა საღმობასა ჰგონებთ განყოფასა მას სულისასა? მაშინ დიდნი შემწენი არიან კეთილნი საქმენი და დაუსჯელი გონებაჲ და მომდრეკელ და დამატკობელ წარმყუანებელთა მათ; მაშინ მორჩილებაჲ განცხადნეს და სიმდაბლე შეწყნარებულ იქმნას და ცრემლთა მოწყალე ჰყონ მსაჯული იგი. მრავალმოწყალეობაჲ მძლე ექმნას ეშმაკთა, და ყოველსა საქმესა შინა მოთმინებაჲ ხელისაღმპყრობელ ექ-

მნას, და ცუდნი, სირცხვილეულნი და უქმნი წარვიდენ წინააღმდეგობნი, ხოლო განმზადებულნი იგი წარვიდენ სიხარულით ანგელოსთა თანა ქრისტეს მიმართ მაცხოვრისა. მაშინ შიში ბოროტი ეწიოს სულსა, უკეთუ ცოდვისა მიერ იპოვოს შეპყრობილ, რამეთუ ერეოდენ მას უკეთურნი ეშმაკნი და მათთანავე შთაიყვანონ საწყალობელი იგი სიღრმედ ჯოჯოხეთისად და წყუდიადად და ტარტაროსად სატანჯველისა. და მიერითგან რაამელა იყოს სარგებელი სულისაჲ მის? ...განვიწმიდნეთ თავნი თვისნი, ძმანო პატიოსანნო, და ნუშცა რაჲ არს განმყოფელ ჩუენდა მცნებისაგან ღმრთისა: ნუცა შრომაჲ, ნუცა საღმობაჲ, ნუცა სხუაჲ რაამე კეთილად საგონებელთაგანი, არამედ დაღაცათუ დღითი დღე სიკუდილი ჯერ იყოს ჩუენდა, მაღლობით მივითვალთ და ზეშთა სოფლისა ამის ზრახუათასა ვჰსცხოვნდებოდეთ, და ნუშცა ვისა გვეშინის სხვისა, პირველ საშინელისა ღმრთისა: ნუცა კაცისა, ნუცა მხეცისა, ნუცა მახვლისა, ნუცა ცეცხლისა, ნუცა ზღვისა, ნუცა სხვისა რაჲსამე საშინელად საგონებელისა, რამეთუ კაცი დაიბადა ნატად ღმრთისა და ამათ ყოველთა უფლად და მეუფედ დაიდგინა, და ჯერ არს ჩუენდა მუნვე მიქცევაჲ, ვინაჲ იგი გამოვისხენით და სწორ ანგელოსთა ყოფაჲ მოგვაკლდა.

## წმ. ანტონი დიდი

1. მოკვდავი ადამიანი იმგვარად უნდა ზრუნავდეს საკუთარ თავზე, რომ მარად ახსოვდეს – სიკვდილი მომელისო, რადგან ნეტარი უკვდავება მხოლოდ ყოვლად ღირსი სულის ხვედრია, იმ ადამიანისა, რომელსაც ამქვეყნად კეთილად და სათნოებით უცხოვრია, ხოლო როცა ადამიანის

სული ბოროტია და ამქვეყნად უღირსად უცხოვრია, მისი საბოლოო ხვედრი საუკუნო სიკვდილია.

2. კარგი იქნება, თუკი პავლე მოციქულის ეს სიტყვები გვეხსომება — „მარადლე მოკვდებით“ (I კორ. 15,31). რადგან ყოველდღე სიკვდილის მოლოდინში თუ ვიქნებით, მაშინ აღარც შევცოდავთ ხოლმე. ეს ნათქვამი კი წმიდა მოციქულისა — ყოველდღე მოკვდებით — აი, რას გვასწავლის: ყოველდღე ძილისაგან აღდგომილნი იმას უნდა ვფიქრობდეთ, რომ საღამომდე ვერ მივალწევთ, რომ სიკვდილი ყოველ წამს შეიძლება გვეწიოს, ხოლო ძილად მისვლის წინ იმას უნდა ვგონებდეთ, რომ აღარ გაგვეღვიძება, იმიტომ რომ აკი ბუნებითაც ამგვარადაა დაწესებული — ჩვენ არ ვუწყით ზღვარი ჩვენი სიცოცხლისა და არც ის ვიცით, ყოველი ცალკეული დღისათვის თუ რა საწყაულს აღგვიწყავს განგება. თუ ამ სახით განვეწყობით და ყოველდღეს ამ ფიქრით შევხვდებით, მაშინ არაფერს უჯეროს არ ჩავიდნთ — არც შევცოდავთ და არც ბილწი გულისთქმით აღვენთებით, არც ცუდად განვურისხდებით ვინმეს და არც ქონების მოხვეჭას დავიწყებთ ამქვეყნად, არამედ ყოველდღე სიკვდილის მოლოდინში უვეცხლონი შევიქნებით, ანგარებას არ დავემონებით და ყველას ყოველივეს მივუტევებთ. ქალის ნდომა, ანდა სხვა რამ ბილწი გულისთქმა ერთი წამითაც არ გავივლოთ გულში, უმაღვე განვაგლოთ ხოლმე ჩვენგან ავი სურვილი და მარად ვებრძოლოთ საცთურს განკითხვის დღეზე ფიქრში, რადგან დიდი შიში თუ გვექნა ღმრთისა და ხსოვნაც მომავალი საუკუნო ტანჯვისა, მაშინ ეს გვაიძულებს ვუფრთხოდეთ ხორციელ სიამეთ და შეგვეწევა კვლავაც აღვადგინოთ დაცემისაკენ მიქცეუ-

ლი ჩვენი სული.

3. როცა შენში ჩაისახება რაიმე სურვილი ერთ-ერთი გრძნობისმიერი სიამოვნების გამო, ეცადე, რომ მაშინვე არ იქნა გატაცებული ამით, არამედ, რამდენადაც კი ძალგიძს, იმ წუთას განიშორე იგი თავისაგან, მოიხსენე სიკვდილი და იმაზე იფიქრე, თუ რამდენად უარესი იქნება შენთვის, სიკვდილის მოსვლის ჟამს ის გაგახსენდეს, რომ საცთურის მიერ იქენი ძლეული.

4. ჩვენი სულიერი მამები გვარწმუნებენ, რომ უდაბნო ყველაზე შესაფერი ადგილია სიკვდილზე ფიქრისათვის და ყველაზე საიმედო თავშესაფარია საამქვეყნო გატაცებებისაგან თავის მოზღუდვისათვის, რომელნიც სხეულს აამებენ.

5. შენი სენაკი საპყრობილედ აქციე საკუთარი თავისთვის, და სულ ის იფიქრე, რომ ამქვეყნად ყოველივე დამთავრებულია შენთვის, და აი, საცაა დაჰკრავს ჟამი სულის განტევებისა.

6. ყოველდღე მოკვდი, რათა ჭეშმარიტი ცხოვრებით იცხოვრო, რადგანაც ვისაც ღმერთისა ეშინის, იგი საუკუნო ნეტარებით იცხოვრებს ცათა სასუფეველში.

7. ღრმად ჩაიბეჭდეთ გონებაში სიკვდილის მოლოდინი და იმგვარად იცხოვრეთ, თითქოს აი ეს ღღევანდელი ღღე უკანასკნელი ყოფილიყოს თქვენთვის ამქვეყნად, და ყოველ ჟამს სიკვდილს მოელოდეთ.

8. შიში ღმრთისა მარად თვალთა წინაშე უნდა გვქონდეს, და მასთან ერთად ხსოვნაც სიკვდილისა მარად ჩვენთან უნდა იყოს; ამასთან, ყოველთვის უნდა გვძულდეს ყოველივე ამქვეყნიური და ამაო.



9. შეიკრძაღე თავი ცოდვისაგან, რათა განკვეთილი არ აღმოჩნდე მომავალი საუკუნო ნეტარი ცხოვრებისაგან. ვაი, მცონარეთა და გულსმოდგინებას მოკლებულთ სათნოებაში, რადგან მოახლოებულა აღსასრული, და მათ არა ჰყავთ შემწე, და სასოებაც დაუკარგავთ ხსნიისა!

10. ყოველდღე იმას ჰკონებდე, რომ ეს ერთი დღე დაგრჩენია ამ წუთისოფელში, და ამით თავს დაიცავ ცოდვათაგან.

11. ყოველდღე სიკვდილზე იფიქრე და ასე უთხარი ხოლმე საკუთარ თავს: „ამქვეყნად დღევანდელი დღე უკანასკნელია ჩემთვის, მეტად ვეღარ დავყოფ აქ!“ – და თუ ამას იქმ, არც არასოდეს შესცოდავ ხოლმე ღმერთის წინაშე.

12. ყოველთვის განსოვდეს ჟამი სხეულისაგან შენი სულის განსვლისა, და გონებიდან არ ამოიგდო საუკუნო სატანჯველის ხსოვნა, და თუ ასე მოიქცევი, არც არასოდეს არ შესცოდავ.

13. მარად განსოვდეს, რომ შენი სიჭაბუკე უკვე გარდასულა და შენი ძალებიც დაშრეტილან, ხოლო უძღურებანი განმრავლებულან; უწყოდე, რომ უკვე ახლოა ჟამი შენი აღსრულებისა, ანუ ის დღე, როცა შენ პასუხი უნდა აგო უკლებლივ ყველა იმ საქმისათვის, რომელნიც კი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე მოგიმოქმედია; იცოდე, რომ ამ დღეს ვერავინ ვერ შეგეწევა – ვერც ძმა გამოგისყიდის სასჯელისაგან, და მამაც ვერ გიხსნის შენ, თავის ძეს.

## ლიმონარი

თქვა ბერმა: „გაექეცი, შვილებო, სოფელს, რამეთუ აღსასრული მოახლოებულია. ვაი ჩვენდა, რამდენი ცრემ-

ლის დაღვრა მოგვიწევს იმის გამო, რასაც ახლა არაფრად ვაგლებთ და რისთვისაც საჭიროდ არ მივიჩნევთ სინანულს. როცა ქება-დიდებას გვასხამენ, თავის დამდაბლება არ ვიცით, ხოლო როცა შეურაცხვეყოფენ, ერთი სიტყვის მოთმენაც კი არ შეგვიძლია.

### ეგვიპტელი მამების გამონათქვამები

1. თქვა ბერმა: „კაცი, რომელსაც მარადჟამ თვალწინ უდგას სიკვდილი, ამარცხებს უღებებას“.

2. თქვა ბერმა: „როგორც სუნთქვა მუდმივად თან დაგვეყვება, ასევე სიკვდილის შიში და გლოვა მუდამ თან უნდა გვსდევდეს, სანამ ვარსებობთ“.

3. თქვა მამა სტრატიგიოსმა: „გავექცეთ სოფელს და ყოველივეს, რაც მას ეკუთვნის, რამეთუ ჩვენი დრო მოახლოებულია“.

### წმ. ესაია განდევილი

1. სამი ძნელად შესაძინებელი სათნოებით მოიპოვება ყველა სხვა: გულის შემუსვრით, ცოდვებზე გლოვითა და სიკვდილის დაუცხრომელი ხსენებით.

2. გახსოვდეს გეჰენია და მოიძულე მასში მიმყვანებელი საქმეები.

3. ღვთის სამსჯავროზე მუდმივი ფიქრით იშვება შიში ღვთისა.

4. ვინც ფიქრობს, რომ სიკვდილი ახლოსაა, არ ჩავარდება მრავალ ცოდვაში; ხოლო ის, ვისაც დიდი ხნის სიცოცხლის იმედი აქვს, უამრავ ცოდვას ჩაიდენს.

## თაზო III

### სინანულისათვის

წმიდა მამათა სწავლებით, ტირილი არის ორგვარი – გარეგანი და შინაგანი. გარეგანია, როცა სინანულის დროს ადამიანს მოსდის ცრემლები; შინაგანია, როცა ცრემლები არ მოსდის, მაგრამ შინაგანად წუხს, ნანობს და იგლოვს თავის ცოდვებს.

არანაირად არ შეიძლება ძალდატანება ლოცვის დროს – რომ წამოვიდეს ცრემლი, ვინაიდან, მამათა სწავლებით, ცრემლი შეიძლება იყოს ასევე სიამაყისგან, თავის ქებისგან და სხვა ვნებებისაგან.

ქრისტიანს სინანულის დროს იშვიათად შეიძლება წამოვიდეს ცრემლი, მაგრამ მუდმივი ცრემლი – ესაა ჯილდო ღვთისაგან, რომელიც ეძლეოდათ წმიდა მამებს მრავალი წლის დაყუდების, მარხვის, ლოცვისა და მდუმარების ღვაწლისათვის.

### პატერიკი

1. იტყოდეს მამისა არსენისთვს, ვითარმედ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა ტირნ და ყოლად მჩუარი აქუნ კელთა მისთა, რომლითა იწმედნ ცრემლთა თვსთა.

2. თქუა ბერმან: „ვითარცა უკეთურებაა ჩუენ თანა არს, ეგრეთვე გლოვაა და ტირილი თანა-გუაც მარადის, სადაცა ვიყვნეთ და რასაცა ვიქმოდით“.

3. თქუა მამამან ლონგინოზ, ვითარმედ: „მარხვაა დაამდაბლებს კორცთა და მღვპარებაა განწმენდს გონებასა და დაყუდებაა მოიყვანებს გლოვასა და ტირილსა, ხოლო ცრემლნი ნათელ-სცემენ და განსწმედენ ყოველთაგან ცოდ-

ვათა მისთა“.

4. იტყოდეს, ვითარმედ მამასა ლონგინოზს ჰქონდეს ცრემლნი დიდნი ლოცვასა შინა თვისსა და ტირილი ფსალმუნებასა. და ჰრქუა მას ოდესმე მოწაფემან მისმან: „ჯერ-არსა, მამაო, ესრეთ ტირილი სულიერსა მსახურებასა შინა?“ ჰრქუა მას ბერმან: „ჰჳ, შვილო, ესრეთ ჯერ-არს, რამეთუ ღმერთმან არა დაჰბადა კაცი ტირილისათვის, არამედ ფრიად სიხარულისა და მხიარულებისათვის, რაჲთა აღიდებდეს მას წმიდად და უბიწოდ, ვითარცა ანგელოზნი; ხოლო აწ, ვინაჲთგან შთავგარდით ცოდვასა შინა, განვარისხეთ უფალი ჩუენი და თანაგუაც ტირილი მარადღჳ“.

5. თქუა მამამან მოსე: „რომელნი-ესე ძლეულ ვართ ვნებათაგან ვორციელთა, ნუმცა უდებ ვართ სინანულისათვის და გლოვისა თავთა ჩუენთაჲსა, ვიდრე-ესე გუაქუს-ლა ჟამი და არა მოუსწრია გლოვასა და ტირილსა ჟამისა მის საშინელისასა“.

6. თქუა ბერმან: „ვჳჳამდით ოდესმე ჰურსა და განიცინა ძმამან ვინმე. იხილა იგი მამამან იოვანე, სულთ-ითქუნა და თქუა: „რაჲ-მე აქუს ძმასა მას, რომელ ესრეთ იცინის, რამეთუ უფროჲს-ლა ტირილი ჯერ-არს ჟამსა ამას ჳამისასა?“

7. გვთხრობდა მამაჲ იოვანე სენაკებისაჲ, ვითარმედ: „იყო ეგვპტეს მეძავი ვინმე შუენიერი და მდიდარი ფრიად, და მრავალნი მივიდოდეს მისა, და ღლესა ერთსა შევიდა იგი ეკლესიად. ხოლო დიაკონი იგი, რომელი იყო დაყენებულ კარსა ზედა, აყენებდა მას და არა უტევებდა შესლვად, არამედ ეტყოდა, ვითარმედ: „არა ღირს ხარ შესლვად ეკლესიასა, რამეთუ არაწმიდა ხარ“. და იბრძოდეს

რამ ივინი, ესმა ებისკოპოსსა ამბობება იგი მათი, და გამოვიდა. და ჰრქუა მას მეძავმან მან: „არა მიტევებს მე შესლვად ეკლესიასა“. ჰრქუა მას ებისკოპოსმან: „რამეთუ არა წმიდა ხარ და არა ჯერ-არს შენი შესლვა ტაძარსა ღმრთისასა“. ხოლო მან შეინანა და ჰრქუა ებისკოპოსს: „ამიერითგან არღარა ვისიძვო, არამედ ვინანდე“. ჰრქუა მას ებისკოპოსმან: „უკუეთუ არა მოილო ყოველივე სიძლიდრე შენი, არა დამიჯერებია“. ხოლო მან მოართუა ყოველივე მსწრაფლ და შეუორგულეებლად. და ვითარცა მოილო, აღილო იგი ებისკოპოსმან და ყოველივე დაწუა მასვე ჟამსა და ესრეთ შეუტევა იგი ეკლესიად. ხოლო იგი ტირილითა მწართა იტყოდა: „ვამ მე, საწყალობელსა ამას, უკუეთუ აქა ესრეთ შემემთხვა, რამ-მე ყოფად არს დღესა მას საშინელსა?“ და მიერიტგან დაადგრა სინანულსა შინა კეთილსა და იქმნა იგი ჭურ პატიოსან.

8. ძმამან ჰრქუა ბერსა: „რამ ვყო, მამაო?“ მიუგო ბერმან: „შვილო, თანა-გუაც, რამთა მარადის ვცრემლოდით, რამეთუ მოკუდა ბერი ვინმე და შემდგომად რავდენისამე ჟამისა კუალად მოიქცა, და ვჰკითხეთ მას, ვითარმედ: „რამ იხილე მუნ?“ ხოლო მან მომიგო და მრქუა ტირილითა დიდითა, ვითარმედ: „მესმა მუნ ვამა ტირილისა და გოდებისა მწარისა, რომელი იტყოდა დაუცხრომელად: „ვამ მე, ვამ მე“; ეგრეთვე აწ ჩუენ ვტიროდით მარადის“.

9. მივიდა ძმამ ბერისა ვისამე, რომელი ჯდა მთასა სინასა და ჰრქუა მას: „ვითარ ვილოცვიდე მამაო?“ მიუგო ბერმან და ჰრქუა მას: „მე ოდეს ვილოცვიდე, შვილო, ამას ვიტყვ: უფალო, ღირს მყავ მე, რამთა გმონო შენ, ვითარცა ვჰმონე ეშმაკსა, და ღირს მყავ მე, რამთა შეგიყუარო, ვი-

თარცა შევიყუარე ცოდვად“.

10. თქუა ბერმან: „უბნობად სამებისა წმიდისათვს და სარწმუნოებისათვს განაკვობენ ცრემლთა და განაქარვებენ სინანულსა გულისაგან, ხოლო სიტყუანი და ცხოვრებანი ბერთანი განანათლებენ გონებასა და მოიყვანებენ სინანულად“.

11. თქუა ბერმან: „უკუეთუ გრქუას შენ გულის-სიტყუამან შენმან, ვითარმედ დღეს დღესასწაული არს, განმზადენ საჭმელნი თითოფერნი, რაათა პატივ-სცე და აღილო დღესასწაული ესე, ნუ უსმენ მას, და უკუეთუ უსმენ და ესრეთ იქმ, უწყოდე, ვითარმედ ჰურიულებ დღესასწაულობ, რამეთუ საქმე ესე მათი არს და არა მონაზონთად. ხოლო მონაზონისა დღესასწაულსა საზრდელი კეთილი გლოვად არს, სანოვაგედ და საშუებელად მისა არიან ცრემლნი და სულთქუმანი კეთილნი“.

12. თქუა ბერმან: „უკუეთუ განხვდე სენაკისაგან შენისა და წარხვდე სადამე და იხილო თავსა შინა შენსა, ვითარმედ მოაკლდა რაა გლოვასა შენსა, გულისხმა-ყავ ადრე, და სწრაფით მოიქეც სენაკსავე შენსა და შეიპყარ კუალად იგი გულის-სიტყუად შენი“.

13. თქუა კუალად: „უკუეთუ შთაჰვარდე ცოდვასა და კუალად მოიქეც მისგან და იწყო სინანულად და გლოვად, იხილე, რაათა არღარა დასცხრე მისგან, ვიდრე დღემდე სიკუდილისა, რაათა არა მასვე მთხრებლსა შთაჰვარდე, რამეთუ საღმრთოდ იგი სინანული აღვრი არს და არა უტევებს დაცემად“.

14. ბერი ვინმე ჯდა სენაკსა შინა თვსსა და დაეყო მუნ სამეოცი წელი და ტიროდა დაუცხრომელად და იტყოდა,

ვითარმედ: „ღმერთმან ესოდენი ჟამი მომცა სინანულად, ვისწრაფო ჟამსა ამას“.

15. თქუა ბერმან, ვითარმედ: „იყო მუშაკი ვინმე ფრიად მდიდარი და უნდა, რაათამცა ასწავა შვილთა მუშაკობაჲ, და ჰრქუა მათ: „იცითა, შვილნო, თუ ვითარ განვმდიდრდი მე? და თქუენცა, უკუეთუ მისმინოთ, ესრეთვე განჰმსდიდრდეთ“. ჰრქუეს მათ: „გვევდრებით, მამაო, რაათა გვბრძანო ჩუენ“. ხოლო მან იხმარა სიბრძნე, რაათა არა ოდესმცა უღებ-იქმნეს იგინი და ჰრქუა მათ: „არს დღე ერთი, შვილნო, წელიწადსა შინა, რომელ უკუეთუ მას დღესა შინა ვინმე იპოოს შრომასა შინა, ფრიად განმდიდრდების, ხოლო დღე იგი მე სიბერიისა ჩემისაგან დამავიწყდა, არამედ აწ თქუენ ნუ უღებ-იქმნებით შრომისაგან ერთსაცა დღესა, რამეთუ, უკუეთუ მოვიდეს დღე იგი კურთხეული და იპოვნეთ თქუენ უღებ და უქმ დღესა მას და არა გპოვნეს თქუენ დღემან მან მოსწრაფებით შრომასა შინა, უწყოდეთ, რამეთუ შრომაჲ და ჭირი თქუენი ყოვლისა მის წელიწადისაჲ ცუდად იქმნების, და ვერ განმსდიდრდებით“. ეგრეთვე აწ, ძმანო ჩემნო, გულისხმა-ვყოთ და ვინანდეთ და ვშურებოდით დღე და ღამე დაუცხრომელად, რაათა ვიპოვნეთ დღესა მას სიკუდილისასა სინანულსა შინა და ვიპოვოთ წყალობაჲ დღესა მას საშჯელისასა“.

16. თქუა ბერმან: „უკუეთუ მოგმადლოს შენ (ღმერთმან) სინანული და გლოვაჲ, ნუ აჰმადლდები და ჰგონებ, თუ კეთილსა რასამე იქმ, რამეთუ ნეტარ არს, რომელმან არა ცოდა და არცა უჯმს გლოვაჲ და სინანული. და თუ გაქუნდენ ცრემლნი, ნუ იქადი გულსაცა შინა შენსა და ჰზუაობ, უწყოდე, უკუეთუ გიხილოს შენ (ღმერთმან) ესრეთ, აღი-

ლოს იგი შენგან, და დაღაცათუ არა აღილოს, შე-არავე-  
იწიროს და ესრეთ წარსწყმდე“.

17. თქუა კუალად: „უკუეთუ არა გაქუს სინანული, უწყ-  
ოდე, რამეთუ მიდრეკილ ხარ სიმდაბლისაგან და გაქუს  
ცუდად-მზუაობრობაჲ და იგი არა გიტევებს შენ სინანუ-  
ლად“.

18. თქუა ბერმან: „კაცმან, რომელმან ნებსით მისცეს  
ჭირსა თავი თვისი და ტიროდის ცოდვათა თვსთათვს,  
მრწამს, ვითარმედ შეჰრაცხოს იგი ღმერთმან მოწამეთა  
თანა, რამეთუ სისხლისა წილ შერაცხილ არიან ცრემ-  
ლნი“.

19. ძმამან ჰკითხა ბერსა: „მითხარ, მამაო, თუ ვითარ  
არა მოვალს შიში ღმრთისაჲ და სინანული გულსა ჩემსა?“  
მიუგო და ჰრქუა მას ბერმან: „ამისთვის, შვილო, რამეთუ  
არა ივლტი კაცთაგან და გიყუარან საჯმარნი და პატივი  
კაცთაჲ. უკუეთუ ივლტოდი კაცთაგან და მოიძულო ღიდე-  
ბაჲ და პატივი მათი და შეურაცხჰყვენე საჯმარნი ჯორცთა-  
ნი, სინანული თვთ მოვიდეს შენ თანა და განცხადებულ  
იყოს შიში ღმრთისაჲ გულისაგან შენისა“.

20. თქუა ბერმან: „უკუეთუ წარწყმიდოს ვინმე ოქროჲ,  
სხუაჲ პოვოს ნაცვალად მისსა, ხოლო უკუეთუ წარვწყმი-  
დოთ ჟამი ერთი სინანულისა ჩუენისაჲ, ნაცვალი მისი სა-  
დაღა ვპოოთ?“

21. იყო ბერი ვინმე და ოდეს ჰრქვან გულის-სიტყუათა  
მისთა, ვითარმედ: „ღღეს განისუენე და ხვალე ინანდე“,  
ხოლო მან ჰრქვს მათ: „არა, არამედ ღღეს ვინანდე და ხვა-  
ლე განვისუენო“.

22. იტყოდა მამაჲ სარმატი და თქუა: „სათნო მიჩნს კაცი



ცოდვილი, რომელსა უცნობიეს და ინანის, ვიდრე არა კაც-სა, რომელსა ცოდვაჲ არაჲ უქმნიეს და თავი თჳსი მართლად შეურაცხიეს“.

23. თქუა მამამან თევდორე ფერმელმან, რამეთუ: „კაცი, რომელი სინანულსა შინა არს, იესუ მას არა მოჰკვდის მცნებასა მუშაკობისასა“.

24. თქუა მამამან ელია, რომელი იყო სამსახურებელსა ზედა: „რაჲ ძალ-უც ცოდვასა, სადა სინანული არს, ანუ რაჲ სარგებელ არს სიყუარული, სადა ამპარტავანებაჲ თანა არს?“

25. მამამან მატოდ თქუა: „ტიროდე, იგლოვდი, ვიდრე გაქუს-და ჟამი სინანულისაჲ“.

26. ესმა რაჲ მამასა პიმენს ნეტარისა არსენისი, რამეთუ შეისუენა, ცრემლნი გარდამოსთხინა და თქუა: „ნეტარ ხარ შენ, მამაო არსენი, რამეთუ დაიტირე თავი შენი ამასვე სოფელსა, რამეთუ რომელმან არა დაიტიროს თავი თჳსი ამას სოფელსა, მუნ საუკუნოდ ტიროდის; გინათუ აქა ნეფსით, გინათუ მუნ სატანჯველთაგან ვერ შესაძლებელ არს არა ტირილი“.

27. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: „გულის-სიტყუანი მაურვებენ, რამეთუ დატევებად მცნიან ჩემნი ცოდვანი და მიმახედვიან ძმისა ჩემისა ბრალთა“. მაშინ ბერმან უთხრა მას მამისა დიოსკორესთჳს, რამეთუ ჯდა სენაკსა თჳსსა და სტიროდა ცოდვათა თჳსთა. ხოლო მოწაფე მისი სხუასა სენაკსა ზინ და ოდეს მივიდის, პოის, რამეთუ ტირნ, და ეტყოდა მას: „მამაო, რაჲსა სტირ?“ ხოლო ბერმან ჰრქუა მას: „ცოდვათა ჩემთა ვსტირ, შვილო“. ერთსა შინა დღესა ჰრქუა მას მოწაფემან მისმან:

„არა გაქუს ცოდვაჲ, მამაო“. ხოლო ბერმან ჰრქუა მას: „ჭეშმარიტად, შვილო, თუ მომეცეს და ვიხილნე ცოდვანი ჩემნი, ვერ კმა მეყვნენ სხუანი სამნი, გინა ოთხნი, რაათა სტიროდიან მათ“.

28. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: „მიქმნიეს ცოდვაჲ დიდი და მინებს შენანების სამ წელ“. ჰრქუა მას მამამან პიმენ: „დიდ არს სამი წელი, შვილო“. და ჰრქუა მას ძმამან მან: „წელიწად ერთ“. ხოლო ბერმან ჰრქუა: „დიდ არს“. ხოლო მან თქუა: „ვითარ, მამაო?“ ჰრქუა მას ბერმან: „მე დამიჯერებიეს, უკუეთუ ყოვლითა გულითა შეინანოს კაცმან და მერმე არღარა შესძინოს საქმესა მას, სამსა დღესა შეიწყნაროს იგი ღმერთმან“.

29. მი-რაჲ-ვიდოდა მამაჲ პიმენ ეგვპტედ, იხილა დედა-კაცი, რომელი ჯდა საფლავსა თანა და ტიროდა მწარედ. და თქუა ბერმან: „დაღათუ მოადგეს ამას ყოველი სახიობაჲ შუენიერი ამის სოფლისაჲ, ვერ განაშორონ სული ამისი გლოისაგან. ეგრეცა მონაზონსა უღირს, რაათა აქუნდეს გლოაჲ თავსა შინა თვსსა“.

30. მამაჲ სილოვანე ჯდა ოდესმე ძმათა თანა და შეიპყრა იგი განკვრვებაჲმან, და დაეცა იგი პირსა ზედა და იღვა იგი მყოვარ ჟამ. და აღდგა და ტიროდა ფრიად. ხოლო ძმანი შეუვრდეს ფერვთა მისთა და ევედრებოდეს, რაათა აუწყოს მათ. ხოლო ბერი ღუმნა და ტიროდა მწარედ. ხოლო ძმანი დაადგრეს ვედრებასა და ფრიად აიძულეს იგი. მაშინ მიუ-გო მათ სულთქუმითა დიდითა, ვითარმედ: „მე საშჯელად მივიტაცე და ვიხილენ მრავალნი ნათესავისაგან ჩუენისა, რომელ მივიდეს საშჯელსა და მრავალნი ერის კაცნი მიმავალნი სასუფეველსა“. და მიერთგან ფრიად იგლოვდა ბე-

რი და არა უნებნ გამოსლვაჲ სენაკით თვისით. და უკუეთუ აიძულიან გამოსლვად, დაიბურის პირი თვისი კუნკულითა და იტყვნ, ვითარმედ: „რად საგმარ არს ჩემდა ხილვად ნათლისა მის წუთ ერთისაჲ, რომელსა შინა არარაჲ არს სარგებელი“.

31. ძმაჲ ვინმე მკვდრ იყო მონიდინს და ცთუნებითა ეშმაკისაჲთა დაეცემოდის იგი სიძვითა და აიძულენ თავსა თვისსა არა დატევებად სახეჲსა მას მონაზონებისასა, არამედ ჰყოფდა მცირესა მას ლოცვასა თვისსა. ევედრებოდა ღმერთსა სულთქუმით და ეტყოდა: „უფალო, უფალო, მეუფეო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, თუ მნებავს და თუ არა, მაცხოვნე მე. ვითარცა მიწასა და თიხასა მიყუარს ცოდვაჲ, ხოლო შენ, ვითარცა ღმერთმან ყოლად ძლიერმან, დამიხრწიე მე და დამჯსენ ბორგნეულთა ცოდვათა ჩემთა, რამეთუ უკუეთუ მართალი შეიწყალო, უფალო, არაჲ დიდ არს, და უკუეთუ წმიდაჲ აცხოვნო, მაცხოვარ, არაჲ საკვრველ არს, რამეთუ ღირს არიან იგინი წყალობასა. ჩემ ცოდვილსა ამას ზედა საკვრველ ყავ წყალობაჲ შენი, მეუფეო, და ჩემ ზედა აჩუენე აურაცხელი იგი კაცთმოყუარებაჲ შენი, რამეთუ შენდა დაშთომილ არს გლახაკი, და განწირულსა შენ ეყავ მწე“. ამას იტყვნ ყოლაღვე და ამას ილოცავნ, გინათუ დაეცის, ანუ თუ არა. ვინაჲცა ღამესა ერთსა დაეცა ჩვეულებისაებრ სიძვითა და მეესეულად აღდგა და იწყო ლოცვად კანონსა თვისსა. იხილა რაჲ ეშმაკმან სასოებაჲ მისი ღმრთისა მიმართ და კეთილი იგი ურცხვნოებაჲ, დაუკვრდა, წარმოუდგა და ჰრქუა მას: „ოდეს ჰგალობდე, კაცო, ვითარ არა სძრწი, ანუ ვითარ იკადრებ აწ პირითა შენითა ხდად სახელსა ღმრთისასა, ანუ ყოლად წარდგომად წინა-

შე მისსა?“ — ჰრქუა ძმამან მან ეშმაკსა: „სენაკი ესე სამ-ჭედლოდ არს, — ერთსა უროსა ჰკრეველი და მეორესა მიი-ლებლი. დავადგრე უკუე ბრძოლასა შინა შენსა, ვიდრე სი-კუდილმდე ...არა დავსცხბრე შესმენისაგან შენისა ლოცვისა მიერ ღმრთისა მიმართ, ვიდრემდის დავსცხბრე შენ ბრძო-ლისაგან ჩემისა, და ვიხილო-და, თუ ვინ ძლოს: შენ-ძი, ანუ ღმერთმან“. ესე რაჲ ესმა ეშმაკსა, ჰრქუა მას: „დასტუ-რად, არღარა გებრძოლი შენ ამიერთგან, რაჲთა არა მოთ-მინებისა მიერ შენისა მოგატყუა გვრგვნი“. და მეყსეულად განეშორა ეშმაკი იგი მისგან მიერ ჟამითგან. ხედავთა ძმა-ნო, თუ რაჲზომ კეთილ არს მოთმინებაჲ და არა წარკუე-თაჲ სასოებისაჲ, დაღაცათუ შეგუემთხვოს ჩუენ მრავალ-გზის დაცემაჲ და ბრძოლაჲ და განსაცდელი.

ვითარცა მოეგო უკუე ძმაჲ იგი თავსა თვსსა, და მოვიდა მის ზედა ლმობიერებაჲ ფრიადი, და დაჯდა და სტიროდა ცოდვათა თვსთა. ხოლო ოდეს ჰრქჳს მას გულის-სიტყუამან მისმან — „კეთილად ჰყოფ აწ, რამეთუ სტირ“, მან მიუგის: „წყეულ იყავნ კეთილი ესე და რად უჳმს ღმერთსა, რაჲთა წარიწყმიდოს კაცმან სული თვისი და მერმე დაჯდეს და ტიროდის, ანუ აცხოვნოს ანუ არა?“.

32. სხუაჲ ძმაჲ ჯდა მასვე მონასტერსა შინა, რომელსა ჰრქჳან მონიდი, და ესრეთ ილოცვიდა მარადის: „უფალო, არა მეშინის მე შენგან, არამედ მოავლინე ჩემ ზედა ჭირი რაჲმე, ანუ უძლურებაჲ, ანუ ეშმაკი, რაჲთა მოვიდეს შიშ-სა შენსა უკეთური ესე გონებაჲ ჩემი“. და ესრეთ ევედრე-ბოდა მარადის ღმერთსა და იტყოდა: „ვიცი, უფალო, რა-მეთუ არა ღირს ვარ მოწყალებასა შენსა სიმრავლეთაგან ურჩულოებათა ჩემთაჲსა, არამედ უკუეთუ ჯერ-არს სახიე-

რებითა კაცთმოყუარებისა შენისაჲთა, არამედ შემინდვე ოდენ, ხოლო უკუეთუ ამასცა არა ღირს ვარ, განმსწავლე აქა, მეუფეო, და მანდა მცირედ რაჲმე მილხინე სატან-ჯველთაგან. და იწყე, მეუფეო, ამიერითგან სწავლად ჩემ-და, არამედ ნუ გულისწყრომითა შენითა, მეუფეო“. და ეს-რეთ მარადის ევედრებოდა ღმერთსა მრავლითა ცრემლი-თა, მარხვითა და სიმდაბლითა დიდითა. და იტყოდა თვსა-გან და თავსა შორის თვსსა: ნეტარ, რაჲმე არს სიტყუაჲ იგი ქრისტესი, რომელსა იტყოდა, ვითარმედ: „ნეტარ იყ-ვნენ მგლოვარენი გულითა, რაჲმეთუ იგინი ნუგეშინისცე-მულ იქმნენ“. ხოლო დღესა ერთსა ჯდა რაჲ და იგლოვდა ჩუეულებისაებრ თვსისა, და მიერულა წუხილითა მით, რომელი იყო მის თანა. და აჰა მეყსეულად წარმოუდგა მას ქრისტე და ჰრქუა მხიარულითა პირითა და ვმითა ტკბი-ლითა: „რაჲ გჭირის, კაცო, რად ესრეთ სტირ?“ მიუგო მან: „დავეცი, უფალო“. ჰრქუა მას უფალმან: „აღდეგ!“ მი-უგო მან: „ვერ შემიძლია, უფალო, უკუეთუ არა მომცე გე-ლი წმიდაჲ შენი“. ხოლო უფალმან მიყო გელი თვსი და უპყრა გელი და ჰრქუა: „რად მწუხარე ხარ, კაცო, რად სტირ შენ ესრეთ?“ მიუგო მან: „და ვითარ არა ვტიროდი, უფალო, რაჲმეთუ მრავალგზის განგარისხე შენ და შეგაწუ-ხე შენ?“ მაშინ მიყო გელი მისი და დადვა თავსა მისსა და ჰრქუა მას: „ნუღარა მწუხარე ხარ, რაჲმეთუ მე შეგეწევი შენ; და აწ ვინაჲთგან შენ მწუხარე ხარ ჩემისა შიშისათვს, მე შენთვს არღარა მწუხარე ვარ. და არა უწყია, რაჲმეთუ დაბადებულთა ჩემთათვს მივეც თავი ჩემი და სისხლი ჩემი, ვითარ არა მივსცე კაცთ-მოყუარებაჲ ჩემი თითოეულსა სულსა მონანულსა?“ ხოლო ძმაჲ იგი მოეგო გონებასა და

პოვა გული თვის საკვსე სინარულითა დიდითა და მხიარულებითა. და გულსავსებითა აღივსო, რამეთუ ყო ღმერთმან მის ზედა წყალობაჲ. და მიერთგან დიდითა სიმდაბლითა ჰმადლობდა ღმერთსა.

## წმ. იოანე სინელი

1. სინანული განმახლებელი არს ნათლის-ღებისაჲ, სინანული აღთქუმაჲ არს ღმრთისა მიმართ ახლისა ცხოვრებისაჲ.

2. მონანული ვაჭარი არს სიმდაბლისა მომსყიდველი.

3. სინანული არს მოწყვეტაჲ სრულიადი ხორციელთა ნუგეშინისცემათაჲ.

4. სინანული არს თავისა თვისისა დამსჯელი გულის-სიტყუაჲ და უზრუნველობაჲ ყოვლისაგან და ზრუნვაჲ სულისა თვისისაჲ.

5. სინანული ასული არს სასოებისაჲ და უარის-ყოფაჲ სასოწარკვეთილებისაჲ.

6. სინანული დასჯაჲ არს თავისა თვისისაჲ ურცხვენელი.

7. სინანული დაგებაჲ არს ღმრთისა მიმართ, შესწორებულად ცოდვათასა, ქმნითა სიმართლისაჲთა.

8. სინანული განწმენდაჲ არს სვინიდისისაჲ, რომელი-იგი მამხილებულად ბოროტისა დაუბადებეს ღმერთსა კაცისა თანა.

9. სინანული მოთმენაჲ არს ნებსითი ყოველთა ჭირთა და განსაცდელთაჲ.

10. მონანული არს მომპოვნებელი ტანჯვათა თავისა თვისისათაჲ ცოდვათა თვისთავს სოფელსა ამას.

11. სინანული მიმახლებელი არს ღმრთისა და განმაშო-

რებელი არს ცოდვათა.

12. უწყოდეთ, საყვარელნო, ვითარმედ რომელნიცა მოხრებლსა მას ცოდვისასა შთავცვივეთ, ვერ შესაძლებელ არს მიერ აღმოსვლად ჩუენი, არათუ ვიყურჭუმოთ უფსკრულსა მას მონანულთა სიმდაბლისასა.

13. ვიხილენ სულნი შეგინებულნი და განცოფებულნი ტრფიალებითა ბოროტითა ხორცთაათა, და ამისა შემდგომად მოიპოვეს გულთა მათთა სინანულისა ცეცხლი, და ვინაადგან გამოცდილ იყვნეს ტრფიალებისა, დაუტევეს ბოროტი იგი და მოიგეს ღმრთისა მიმართ მართალი ტრფიალებაჲ, შემსგავსებული პირველისა მის მხურვალეებისა, და ყოველსავე შიშსა მეყსეულად თანა-წარჰხდეს და სიყუარულად ღმრთისა მიიწინეს; ამისთვის უფალმან არა თქუა მეძჳსა მისთვის, ვითარმედ შეეშინა ფრიად, არამედ შეიყუარა ფრიადო, და შეუძლო ტრფიალებითა ტრფიალებისა ადვილად განდევნად: საღმრთოათა მით და წმიდითა – ბოროტისა მის და მეღმრთისა.

14. სხუაჲ არს მონანულთა იგი მგლოვარე და მჭმუნვარე სიმდაბლე მათი, რომელნი ჯერეთ ცოდვასა შინა არიან და დაისჯებიან სვინილისისაგან, და სხუაჲ არს ღმრთისა მიერ სრულთა ზედა მომავალი იგი სანატრელი და სულთა განმამდიდრებელი სიმდაბლე.

15. რომელთა შეგვემთხვიოს დაცემაჲ, ვისწრაფოთ ბრძოლად ეშმაკისა, უფროდს ყოვლისა – ჟამსა ლოცვისასა; რამეთუ მაშინ მოგვიხდის იგი, და მოგვახსენებნ პირველსავე მას კადნიერებასა ჩუენსა ღმრთისა მიმართ, და ჰნებავენ რაათამცა დაგვახრწნა ლოცვისაგან და ვედრებისა ღმრთისა.

16. ნუ შეურკვებულ იქმნები უსასოებითა, დაღაცათუ და-  
ეცემოდე ყოველთა ღღეთა, არამედ დეგ სიმხნით და გონიე-  
რად სინანულსავე შინა; და სთნდეს მოთმინებაჲ შენი ანგე-  
ლოსსა მას, რომელი-იგი დადგინებულ არს მცველად შენ-  
და, და უეჭუელად შეგეწიოს შენ.

17. წყლულებაჲ ვიდრეღა ახალ იყოს, ადვილ არს სა-  
კურნებელად, ხოლო დაძველებულნი და უღებ-ყოფილნი  
ძნიაღ საკურნებელ არიან; და ფრიაღი შრომაჲ და მახვლი,  
წამალი და დაწუაჲ უხმს მათ ამას საწუთოსავე, რაჲთა არა  
მუნ დაიწუას მათ მიერ თავადიცა იგი სული.

18. პირველ შთავრდომამდე ცოდვასა, ეშმაკნი გვეტყო-  
დიან, ვითარმედ: „ღმერთი შემნდობელ არს ცოდვათა“; და  
შემდგომად დაცემისა გვეტყოდიან, ვითარმედ: „ღმერთი  
მართლ-მსაჯულ არს“.

19. ნუ ისმენ მისსა, რომელი გეტყოდის მცირეთა ცთო-  
მათა ზეღა, ვითარმედ: „ნეტარ, თუმცა იგი რაჲმე ღიღი  
არა გექმნა, თუ არა, ესე არარაჲ არს“; რამეთუ მრავალ-  
გზის მცირემან ძღუენმან ღიღი გულისწყრომაჲ მსაჯული-  
საჲ დააცხრვის.

20. რომელი ჭეშმარიტსა სინანულსა შინა იყოს, მას  
ყოველი ღღე, რომელსა შინა არა იგლოოს, ესრეთ შეუ-  
რაცხიეს, ვითარმცა წარწყმიღა ღღე იგი, დაღაცათუ  
სხუაჲ რაჲმე კეთილი ექმნას მას შინა.

21. ნუ ვინ მონანულთაგანი მოელის ჟამსა სიკუდილისა-  
სა კეთილად შენანებაღ და შენდობისა მოღებაღ, რამეთუ  
ყოველი საქმე, რომელი უცნაურ იყოს და უჩინო, არა  
მტკიცე არს.

22. უწყოდე, ძმაო, ვითარმედ ვინაღცა სული ღმრთისაჲ



იყოს, მუნ ყოველნივე საკრველნი ცოდვათანი განხსნილ არიან.

23. არაოდეს განიკითხოს ანუ აბრალოს სხვისა დაცემასა, რომელი თავსა თვსსა იგლოვდეს.

24. ვეკრძალნეთ ძმანო, ნუ უკუე არა სიწმიდისაგან დაცხრომილ არს სვინიდისი მხილებისაგან, არამედ მოეწყინა და ამისთვის არღარა გვამხილებს.

25. სასწაული მოტევეებისაჲ ესე არს, რაჲთა მარადის კაცსა თანა-მღებად შეერაცხოს თავი თვსი.

26. არარაჲ არს სწორი წყალობათა და სახიერებათა ღმრთისათა. ამისთვის უკუე, რომელმან სასოებაჲ წარიკუეთა, მან ნებსით მოიკლა თავი თვსი.

27. ყოველსა, რომელსა აქუნდეს სიმდაბლე და გლოვაჲ ცოდვათა თვსთათვს, ესევეითარი არა უდებ იქმნას ვიდრე დღემდე სიკუდილისა, ხოლო რომელნი ამათ ორთაგან კიდე არიან, თავთა თვსთა აცთუნებენ.

28. სასწაული ჭეშმარიტისა სინანულისაჲ ესე არს, რაჲთა ყოველთა ჭირთა და განსაცდელთა, საჩინოთა და უჩინოთა, ღირსად შეგვერაცხნენ თავნი ჩუენნი.

29. ეკრძალენით ყოველნი და უფროჲს ხოლო დაცემულნი, რაჲთა არა დაემკვიდროს გულთა ჩუენტა უღმრთოჲ ორიგენის სენი, რამეთუ ღმრთისა კაცთმოყვარებასა წინაჰყოფს ბილწი იგი, და შესაწყნარებელ იქმნების გემოთმოყვარეთა და უდებთა მიერ.

30. სინანული ჭეშმარიტი ესე არს: განშორებაჲ ყოვლისავე ნუგეშინისცემისაგან ხორციელისა შეუწუხებელად.

31. სასწაული ჭეშმარიტისა სინანულისაჲ არს ძვირუხსენებლობაჲ; ხოლო რომელსა არა აქუნდეს იგი და ჰკონებ-

დეს, თუ ინანის, მსგავს არს იგი კაცსა, რომელსა ენებოს ძილსა შინა სირბილი ჭეშმარიტი.

32. რომელი ერთ გზის იგლოვდეს, და ერთ გზის იცინოდეს და განსცხრებოდეს, მსგავს არს იგი კაცსა მას, რომელი პურთა ესვრინ ძაღლსა მას გემოთ-მოყვარებისასა, რომელი იგი სახითა განაძებს მას, ხოლო საქმითა აწვევს მას მოსლვად.

33. ვითარცა წყალი, შეიწრდის რაჲ, ამაღლდის ზე, ეგრეთვე სული შეიწრებული ბრძოლათა და განსაცდელთაგან ამაღლდების სინანულითა ღმრთისა მიმართ და განერის მაჭირვებელთა მისთაგან.

34. ვითარცა წყალი აღხოცს წერილსა, ეგრეთვე ცრემლი — ცოდვათა.

35. ვითარცა უშუერებაჲ არს, უკუეთუ ვინმე დაჰვლას მამაჲ თჳსი, და მო-რა-იქცეს დაფლვისა მისგან, მეყსეულად ყოს ქორწილი, ეგრეთვე უჯერო არს მათდა, რომელნი იგლოენ ცოდვათა თჳსთათჳს, რაჲთამცა ეძიებდეს ამას საწუთოსა კაცთაგან პატივისა, ანუ განსუენებასა, ანუ დიდებასა.

36. მოძულებაჲ ბოროტისაჲ დასაბამი არს სინანულისაჲ, და დასაბამი სინანულისაჲ არს დასაბამი ცხოვრებისაჲ, განმწმედელი არს გონებისაჲ.

37. წყარონი ცრემლთანი უდიდეს ნათლის-ღებისა არიან შემდგომად ნათლის-ღებისა, დაღაცათუ კადნიერ არს სიტყუაჲ ესე; რამეთუ ნათლის-ღებაჲ პირველ ქმნულთა ცოდვათა ჩუენთა განმწმედელი არს, ხოლო ცრემლნი შემდგომად ნათლის-ღებისა ჩუენისა ქმნულთა ცოდვათა ჩუენთა მომტევებელ არიან. და ნათლის-ღებაჲ, რომელ სიჩჩოსა

მოვიღეთ, შევაგინეთ, ხოლო ცრემლთა მიერ მასცა განვაახლებთ; ხოლო რომელ ესე უკუეთუშცა არა მოცემულ იყვნეს ღმრთისა მიერ, მცირედნიმცა იყვნეს, რომელთამცა პოვეს ცხოვრებაჲ.

38. სულთქუმანი და გლოვაჲ დაღადებენ უფლისა მიმართ, ხოლო სატანჯველთა შიშისაგან მოსრულნი ცრემლნი მეოხ არიან ჩუენთჳს; ხოლო ყოვლად წმიდისა მის სიყუარულისა მიერ მომავალნი გამოგვიცხადებენ და გულსავსე გვეოფენ შეწირვასა ლოცვათა ჩუენტასა.

39. დადეგ ლოცვასა შინა შენსა ძრწოლით, ვითარცა ავაზაკი დასჯილი წინაშე მსაჯულისა, რაჲთა გარეგანითაცა სახითა და შინაგანითა გულის-სიტყვთა დაშრიტო გულის-წყრომაჲ მართლისა მის მსაჯულისაჲ, რამეთუ არა უგულბებლსყოფს იგი სულსა მგლოვარესა, რომელი ვითარცა ქურივი მწუხარებით ღვეს წინაშე მისსა და აწყინებდეს მოუწყინებელსა მას.

40. იქმენ, საყვარელო, მჭმუნვარე და ნუ მაჩვენებელ, არამედ გულსა შინა შენსა ოდენ იყავ მჭმუნვარე, რამეთუ ძრწიან ეშმაკნი მწუხარებისაგან, ვითარცა მპარავნი — ძაღლთაგან.

41. არათუ აქა არს ქორწილად წოდებაჲ ჩუენი, ჰოი, საყვარელნო, არამედ მას საუკუნესა; ხოლო აქა, რომელმან-იგი გვიწოდა ჩუენ, გლოვად თავთა თჳსთათჳს გვიწოდა.

42. მოგიყვანენ შენ გლოვად სახემანცა სამოსლისა შენისამან, რამეთუ შავი გმოსიეს, რომელ-ეგე სახე არს გლოვისაჲ, რამეთუ ყოველნი, რომელნი მკუდართათჳს იგლოვენ, შავსა შეიმოსენ.

43. წყურვილმან და მღვიძარებამან შეაიწრიან გული,

ხოლო რაჟამს გული შეიწრდეს, მგლოვარე არნ და იწყიან ცრემლთა დინებად.

44. უღმობელობამან გულისამან განაფიცხის გონებაჲ, ხოლო სიმრავლემან ჭამადთამან განახმნის ცრემლთა წყარონი.

45. რომელი ცრემლთა თვსთა ზედა ზუაობდეს და განიკითხვიდეს მათ, რომელნი არა ტირიან, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან მიიღო მახული მეფისაგან მოკლვად მტერთა თვსთა, და დაუტევა ბრძოლაჲ მტერთა, და მითვე საჭურველთა სცა გულსა თვსსა და მოაკუდინა თავი თვსი.

46. საყვარელო, მოსპე ცოდვაჲ სრულიად შენგან, და არღარა გიხმდენ ცრემლნი, რამეთუ არა ეხმარების კურნებაჲ, რომლისა თანა არა იყოს მიზეზი სენისაჲ.

47. არა იყო ადამს თანა პირველ მცნებისა გარდასვლისა ცრემლი, ვითარცა-იგი არცა შემდგომად აღდგომისა ყოფად არს მართალთა თანა, რაჟამს განქარდეს ცოდვაჲ სრულიად, რამეთუ არა არს მუნ საღმობაჲ, მწუხარებაჲ და სულთქუმაჲ.

48. გლოვაჲ ტკივილი არს მტკიცე სულსა შინა მონანულისასა, რამეთუ დღითი-დღე დართავნ ტკივილსა ტკივილთა ზედა, ვითარცა-იგი საღმობაჲ შობადისაჲ დაერთვინ ტკივილსა ზედა.

49. განდევნე ძალლი იგი, რომელი ჟამსა გლოვისა შენისასა მოგიხდეს და ღმერთსა უწყალოდ და შეუნდობელად სახელ-სდებდეს, რაჲთამცა განწირულებასა შთაგადლო, რამეთუ იგივე, უკუეთუ გულისხმა-ყო, პირველ ცოდვისა მოგიხდების და ღმერთსა მოწყალედ და შემნდობელად უწესს.

50. უკუეთუ არა გაქუს გლოვამ, თვთ ამისთვს იგლოვდი, რომელ არა გაქუს გლოვამ; უკუეთუ კულა გაქუს გლოვამ, ამისთვს იგლოვდი, რამეთუ გარდამოიყვანე თავი შენი უშრომელისა მისგან და პატიოსნისა და სახარულევანისა წესისა საქმედ და სადგურად ჭირისა და ტანჯვისა ცოდვათა შენთათვს და ამისთვს გიღირს მრავალი გლოვამ და ტირილი და გოდებაჲ.

51. ვინ-მე არს ესევეითარი მონაზონი, რომელმან განვლნა დღენი ცხოვრებისა მისისანი მონოზონებასა შინა მისსა მოშიშებითა ღმრთისაჲთა და ჭეშმარიტითა სინანულითა და კეთილად მსახურებითა; და არცა დღე ერთი და არცა ჟამი ერთი დააკლო და არცა წამსაცა შინა თუალისასა არა დასჭირდა სარგებელი თვსი, არამედ ყოველნი ჟამნი და დღენი თვსნი საღმრთოდ აღასრულნა, და გულისხმაყოფნ მარადღე, ვითარმედ შეუძლებელ არს მის დღისა კუალად მოსლვამ, რომელი გარდავალს, და ამისთვს ისწრაფინ, რაჲთა არა ცუდად გარდაიხადოს იგი.

52. დაღაცათუ დიდთა მოღუაწებათა აღვასრულებდეთ და გული ჩუენი უღმობელად იყოს, უწყითმცა, ვითარმედ ვსცთებით, რამეთუ სამართალსა ვიტყვი, ძმანო, ვითარმედ რომელთა შემდგომად ნათლისღებისა ხორცნი მათნი შეაგინნეს, უღირს ეგევეითართა კუალად ნათლისღებაჲ ცრემლითა სინანულისაჲთა და ცეცხლითა მხურვალებისაჲთა და წყალობითა ღმრთისაჲთა.

53. ვინილენ მე შფოთთაცა შორის და ქალაქსა აღძრულნი ცრემლნი, ხოლო ამას ამისთვს იქმან მტერნი, რაჲთამცა ვგონებდეთ, ვითარმედ არარაჲ გვევნების შფოთთაგან, და ესრეთ სოფელსამცა მივეახლენით, და ესე ჭეშმარიტად

ზაკულება და ღონე არს ეშმაკთაჲ.

54. ვითარცა დედაკაცმან ქურივმან, რომელმან ქმარი თვისი დაფლის, და ყავნ ძე მხოლოდ-შობილი, და შემდგომად ღმრთისა იგი აქუნ ნუგეშინის-საცემელად, ეგრეთვე სული, რომელი შთავრდომილ იყოს ცოდვასა, არა არს სხუად ნუგეშინისცემად მისი ჟამსა სიკუდილისასა, გარნა შრომად შიმშილისა და წყურილისაჲ და ცრემლნი.

55. არა აქუნ ზრუნვაჲ, რომელსა ზედა გამოხდის ბრძანებაჲ სიკუდილისაჲ, თუ ოდეს იქმნების მღერაჲ; არცა მიერჩინ ჭეშმარიტი მონანული და მგლოვარე გემოთმოყვარებასა, ანუ ცუდად დიდებასა, ანუ გულის-წყრომასა და მრისხანებასა.

56. რაჟამს იგლოვდე, ნუ შეიწყნარებ ეშმაკსა მას, რომელი მოგიხდეს და გეტყოდის, ვითარმედ: „რად იგლოვ, რამეთუ ღმერთი კაცთმოყუარე არს, და თვნიერ გლოვისაცა შეგინდობს“. რამეთუ ესე არს განზრახვაჲ მისი, რათამცა გლოვაჲ და შიში ღმრთისაჲ განაშოროს შენგან; გარნა უკეთუ სული სასოწარკვეთილებისაჲ გმძლავრობდეს, მაშინ ნუ ერიდები ამას გულის-სიტყუასა.

57. რაჟამს სული თავით თვისით, თვინიერ მოსწრაფებისა და შრომისა ჩუენისა ღმობიერ და მტირალ იქმნის, და მოსდიოდინ თვალთა ჩუენტა ადვილად ცრემლნი, მაშინ ვისწრაფოთ, რამეთუ უფალი ჩვენი უხდელად მოვიდა და მოგვცა ჩუენ ღრუბელი განბანად ცოდვათა ჩუენტა, რომელნი არიან დაწერილ ხელით-წერილსა მას საქმეთა ჩუენტასა. ვითარცა გუგაჲ თუალისაჲ შეიკრძალე, ძმაო, ეგე-ვითარი ჟამი, ვიდრე მიფარვამდე თავით თვისით, რამეთუ ფრიად უმეტესი ძალი აქვს მას სარგებელად ჩუენდა, ვიდ-

რელა მოსწრაფებითა ჩუენითა მოგებულსა.

58. ვითარცა რომელნიმე წერილნი წყლითა არა აღიხოცებიან და აღვხოცთ სხვითა რაიმთამე ღონითა, ეგრეთვე სულნი, რომელთა არა აქუნ ცრემლნი, აღხოცნიან იგინი [ცოდვათა თვისთა] სულთქუმითა და გლოვითა და ურვითა დიდითა.

59. ვისმინოთ, ძმანო, საქმე სარგებელი სულისაჲ და მომყვანებელი ღმობიერებად და სინანულად: იყო უკუე აქა ბერი ვინმე სახელით სტეფანე, რომელსა აქუნდა ცხოვრებაჲ მეუდაბნოებისა და დაყუდებისაჲ, და დაეყვნეს მონოზონებასა შინა მრავალნი წელნი, და შემკობილ იყო მარხვთა და ცრემლითა, და სხვითა მრავლითა ქუელის საქმითა სავსე იყო. და იყო სენაკი მისი მთასა სინასა, საყოფელსა წმიდისა და ღმრთის მხილველისა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა მთასა მას წმიდასა; ხოლო გულმან უთქუა მას სინანულსა უაღრესსა და უზესთაესსა, და წარვიდა საყოფელსა მძოვართასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების სიდი, რომელ არს ჭირი, რომელი ჰშორავს მონასტერსა სინისასა სამეოცდაათითა მილიონითა, ადგილსა რომელსა არა არს ყოვლადვე ნუგეშინის-საცემელი, არცა გზაჲ კაცთაჲ ყოვლადვე; და იყო მუნ იწროებით, ცრემლითა და სინანულითა ფიცხელითა. ხოლო შემდგომად ჟამთა მრავალთა, მოვიდა რაჲ იგი დიდად სიბერედ, კუალად იქცა თვისსავე სენაკსა ამას წმიდასა მთასა სინასა, სადა-იგი ესხნეს ორნი მოწაფენი პალესტინელნი, ღმრთის-მოშიშნი ფრიად, რომელნი იმარხვიდეს თავთა მათთა სიწმიდით.

ხოლო დაყვნა რაჲ ბერმან მუნ მცირედნი დღენი, დასნეულდა, რომელსაცა შინა შეისუენა. ხოლო უწინარეს გარ-

დაცვალებისა მისისა, დღითა ერთითა აღტაცებულ იქმნა გონებად მისი, და თუალნი მისნი ეხილნეს, და ხედვიდა იგი მარჯუენით და მარცხენით ცხედრისა მის, და რომელნი სხდეს მუნ, ესმოდა ზრახვაჲ მისი, რამეთუ ვითარმცა ვიეთგანმე განისჯებოდა; ოდესმე თქუის: „მართლ, გარნა ამისთვის ვტიროდი და ვმსახურებდ“. და კუალად თქუის, რამეთუ: „არა მართალსა იტყვთ, არამედ სტყუით ჩემ ზედა“. და ოდესმე თქუის: „ჰე, ჭეშმარიტად, ჰე, მართალსა იტყვთ, და ამისთვის არარაჲ მაქუს, რადმცა მოგიგე, გარნა წყალობაჲ ღმრთისაჲ მაქუს შემწედ ჩემდა“.

და იყო ხილვაჲ საშინელი და შესაძრწუნებელი, სასჯელი შეუნდობელი და უხილავი, და უსაშინელეს ესე არს, რომელ რაჲ არა ექმნა, მასცა სწამებდეს. ეჰა საკვირველი, რამეთუ დაყუდებული იგი და განშორებული იტყოდა რომელთამე ცთომათა მისთა ზედა, ვითარმედ: „ამას ზედა არარაჲ მაქუს, რადმცა მოგიგე“, – რომელსა დაეყო მონოზონებასა შინა ორმეოცი წელი და აქუნდა ტირილი და გლოვაჲ ფრიადი.

ვაიმე, ვაიმე, საყუარელნო, სადა იყო მაშინ სიტყუად ეზეკიელ წინაღსწარმეტყუელისაჲ, რადთამცა ეთქუა მათდა, ვითარმედ: „რომელსაცა ზედა გპოვო, განგიკითხო შენ, – თქუა უფალმან“. ჭეშმარიტად ვერარაჲ თქუა ესევეითარი. რადსათვის-მე? ჰოი ძმანო, დიდებაჲ მხოლოსა მას, რომელმან უწყის.

და ვიეთმე მითხრეს, უწყის უფალმან, ვითარმედ თვისითა ხელითა მისცემდა საზრდელსა ვეფხთა და ლომთა და აფთართა უდაბნოსა გარე, და ესევეითართა განკითხვითა განემორა ხორცთაგან. და თუ რაჲ იქმნა სასჯელი მისი, ანუ



ვითარი განჩინებაჲ გამოვიდა მის ზედა, ანუ რაჲ იქმნა აღსასრული განკითხვისაჲ მის, არა საცნაურ იყო.

60. არა საბრალობელ ვიქმნეთ, საყვარელნო, ჟამსა სიკუდილისასა, ვითარმედ არა ვქმენით სასწაულნი და არა ღმრთის-ვმეტყუელებდით და არა ვიყვენით უხილაგთა მნილველნი; არამედ სიტყუაჲ მიცემად გვიც ღმრთისა, თუ რად არა მარადის ვიგლოვდით. და ამისთჳს გვიღირს, ძმანო, რაჲთა მარადის ვტიროდით და ვიგლოვდეთ ცხოვრებისათვის ჩუენისა, და მივივლტოდეთ წინაშე ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### წმ. აბბა დოროთე

შეინანეთ, მოიდრიკენით მუხლნი, გულისხმა-ყავთ შეცოდებაჲ თქუენი და სწუხდეთ სიშიშულისა თქუენისათვის.

### წმ. თეოდორე სტუდიელი

გინათუ იწყლა ვინმე გულითა სახედველთა მიერ და სასმენელთა, გინათუ აღიტაცა გულისსიტყჳსა მიერ საეშმაკოჲსა და აღეტყინა გულისთქუჲად ბოროტად, ანუ თუ რისხვად და გულისწყრომად, და შურად, სიძულვილად, ცილობად, ურჩებად, გინათუ სხუად რომლადცა ვნებად წარმწყმედელად, თანაჲძს მეყუსეულად კურნებისა ძიებაჲ, რომელ არს სინანული, ლმობიერებაჲ, გოდებაჲ, ტირილი, შემუსრვაჲ გულისაჲ და სხუანი იგი სინანულისა წამალნი, და ესრეთ განკურნებად და პირველისა მიმართ სიცოცხლისა აღსლვად. ხოლო უკუეთუ ესე არა იქმნას, ვიპოვნეთ დამრთუელად ცოდვისა ცოდვასა ზედა და წყლულებისა

წყლულებასა ზედა და იქმნას ვნება იგი უკურნებელ და სნეულ ვიქმნეთ სასიკუდინედ ცოდვითა. არამედ ნუმცა ქმნილ არს ესე, შვილნო და ძმანო ჩემნო სასურველნო, არამედ პირველად დავიცვნეთ თავნი თვისნი, რაათა არა ვცოდოთ, რამეთუ რამცა იყო უტკბილეს და უსანატრელეს, რაათა აქუნდეს კაცსა სული უბიწოდ და გონება შეუგინებელი და მოუწყლველი ვნებათაგან. ხოლო უკუეთუ შეგვემთხვოს ცოდვად, რამეთუ მცთომ არს ბუნება ჩუენი და აღვილ მიმოქცევად, მსწრაფლ ცოდვად იგი აღმოვფხურათ აღსარებისა მიერ და სინანულისა ტკივნეულისა და ცრემლთა მიერ მწარეთა, და ნუცალა ჟამ ერთ დაუტევებთ წყლულებასა მას უკურნებელად, ვინაითგან სიკუდილი ძპარავი არს და არა უწყით, რომელსა ჟამსა ძპარავი მოვალს — შუაღამე, ანუ ქათმის ხმობასა, და განუმზადებულად განსლვად ხორცთაგან ბოროტ არს ფრიად, და განუკრძალველად წარდგომა საყდართა ქრისტესთა საზარელ არს ფრიად.

## წმ. ანტონი დიდი

1. როცა უფალი მოგვიტევებს ცოდვებს, ჩვენ თვითონ არ უნდა მივუტევოთ ისინი საკუთარ თავს და მარად გვახსოვდეს ჩვენი შეცოდებანი, ხოლო ამის გაკეთებას იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუკი ყოველდღე განვაახლებთ ჩვენს სულებში სინანულს მათ გამო.

2. თუკი ცოდვილი ადამიანი გადაწყვეტს მოშორდეს ცოდვას, გამოსწორდეს და ღმერთს შეუდგეს, ისე, რომ ბოროტის წინააღმდეგ სულიერი ღვაწლით შეიარაღდება — სინანულის ცრემლებით, გულის შემუსვრილებით, მდაბა-

ლი ოხვრა-კვნესით, მარხვით, მღვიძარებით, სილატაკითა და ღმრთისადმი აღვლენილი მრავალი ლოცვა-ვედრებით, მაშინ უფალი თავისი სახიერებით შეეწევა ასეთ ადამიანს და განაგდებს მისგან ყველა მშვეინვიერ ვნებასა და გულისწადილს.

3. სული ღმრთისა მხოლოდ იმ ადამიანებს აღავსებს თავით თვისით, რომელნიც მრავალი სულიერი ღვაწლითა და კეთილ საქმეთა მოქმედებით ინანიებენ თავიანთ შეცოდებებს.

4. განვიღვიძოთ, ძმანო, ძილისაგან, სანამ ამა მოკვდავ და ხრწნად სხეულში ვიმყოფებით! მარად ვიგლოვით საკუთარი თავი და დღითა და ღამით სრულის გულით დავიტიროთ ხოლმე თავი, რათა ასეთი სინანულითა და თვითდადაბლებით ეგების თავიდან ავიცილოთ ის საშინელი ტანჯვა-წამება, ოხვრა-კვნესა, ტირილი და ათასი სხვა სიძნელენი, რომელთაც დასასრული არ ექნებათ.

5. განუწყვეტლივ მიუძღვენი ხოლმე ღმერთს მსხვერპლად გულწრფელი სინანული — შესაწირავი, რომელიც ყველაზე მეტად სთნავს უზენაესს, — და მაშინ ერთი წუთითაც არ მიეცემი მცონარებას და გულმოდგინებაც არ განვიგრილდება.

6. შენი ძალისხმევა იმას მოახმარე, რომ განუწყვეტელი ლოცვა-ვედრება აღუვლინო ღმერთს და სინანულის ცრემლები შესწირო მსხვერპლად, რათა უფალმა შეგიწყალოს და განძარცვოს შენგან „ძველი იგი კაცი“.

7. ნუ შეწყვეტ ლოცვა-ვედრებას და სინანულის ცრემლთა ღვრას, და ღმერთი უსათუოდ შეგიწყალებს და ყველა შენს უძღურებასა თუ სნეულებას შეგიმსუბუქებს.

8. დღე და ღამე გტკიოდეს გული შენს ცოდვათა გამო.
9. შენს ცრემლთა ზეთით აღანთე შენი სულის კანდელი.
10. განუწყვეტლივ ღვარე ცრემლი შენს ცოდვათა გამო, იმგვარად, თითქოსდა მიცვალებული გესვენოს სენაკში.
11. ნუ მიიჩნევ თავს რამედ და ნუ აღმაღლდები, არამედ ცრემლები ღვარე შენს ცოდვათა გამო.
12. ყოველდამ ცხარე ცრემლები ღვარე შენს სარეცელზე და დაალტვე იგი; სინანულით დაიმდაბლე ხოლმე თავი წინაშე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რათა მან წაშალოს შენი ცოდვები და შენც განგაახლოს, რათა შეწევნა თვისი მოგმადლოს შენ კეთილ საქმეთა აღსრულებისთვის და მოგანიჭოს თავისი საუკუნო სასუფეველის დამკვიდრება.

### წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი

1. როდესაც საკუთარი თავის უკეთურებას შეიცნობ, და-ნაშაულიც აღიარე, განსაჯე და დაიდანაშაულე თავი, მხოლოდ საკუთარი თავი. სხვაგან ნუ დაუწყებ დამნაშავეს ძებნას. არც გარშემომყოფნი, არც მოვლენათა მიმდინარეობა არ არის დამნაშავე შენს ცოდვაში. დამნაშავე მხოლოდ შენი ბოროტი ნებაა, ამიტომ საკუთარი თავი დაადანაშაულე. იჩქარე, რომ გაცნობიერების შემდეგ სინანულმა გაიღვიძოს, გაიღვიძოს გულშემუსვრილებისა და ტკივილის განცდამ, არა ცოდვით საკუთარი თავის დამცირების, არამედ ცოდვით ღვთის შეურაცხყოფის გამო.

2. რაც უფრო ღრმაა გულშემუსვრილება, მით უკეთესი, მაგრამ რაც უნდა ძლიერი იყოს ეს გრძნობა, შეწყალების იმედი არ გადაიწურო. შეწყალება აქვეა, მთელი ცოდვები

ჯვარზეა გამოსყიდული. ღმერთი მხოლოდ თითოეულის სინანულს ელის. სასოებით, სულითა და ხორციტ დაემხვე და შეჰღალადე: „შემიწყალე, უფალო, შენი უდიდესი სახიერების გამო“, – და ნუ შეწყვეტ ღალადს, ვიდრე თავს შენდობილ დამნაშვედ არ იგრძნობ. ეს მაღლი ბოლოს ყველა მონანულზე გადმოდის, მაგრამ მას თან უნდა ახლდეს აღთქმით განმტკიცებული გადაწყვეტილება, რომ არ ვუშეღავათებთ, და დავიცავთ თავს არა მარტო დიდი, არამედ მცირე ცოდვებისგანაც.

3. როდესაც საკუთარი უძღურების ან უზნეობის გამო ცოდვით დაეცემი და დაჭრილი ხარ (ვეულისხმობ საპატიებელ ცოდვებს: შეუფერებელი სიტყვის წამოცდენა, გაბრაზება, გონებაში ცუდი აზრის გაელვება, უჯერო სურვილის აღძვრა და სხვა), ნუ იქნები სულმოკლე და ნუ აფორიაქდები. ნუ გაამახვილებ ყურადღებას საკუთარ თავზე და ნუ იტყვი: როგორ ვერ მოვითმინე ეს, როგორ დავუშვი?! – ეს საკუთარ თავზე ამაყი წარმოდგენის ამოძახილია. პირიქით, დამდაბლდი და ღმერთს მინდობილმა გულით თქვი: „მეტს რას უნდა ელოდო ჩემგან, უფალო, ასეთი უძღურისა და უზნეოსაგან“. და მაშინვე მაღლობა შესწირე ღმერთს, რომ ამჯერად ამით დასრულდა შენი დაცემა. აღიარე: „რომ არა შენი უსაზღვრო სახიერება, უფალო, ალბათ არ შევჩერდებოდი, და უარეს ცოდვაში ჩავეფლობოდი“.

4. ყოველთვის, როდესაც უმნიშვნელოდ შესცოდავ, თუნდაც ეს დღეში ათასჯერ შეგემთხვეს, ნუ დაიტანჯები და დროს ნუ დაკარგავ. როგორც კი თავს ცდუნებას შეამჩნევ, მყისვე დამდაბლდი, საკუთარი უძღურება შეიცანი,

სასოებით მიმართე უფალს და გულის სიღრმიდან ამოთქვი: „უფალო ღმერთო ჩემო! მე ჩავიდინე ეს, რადგან ასეთი ვარ. თუ შენი მადლი არ განმანათლებს და მარტოს დამტოვებს, ჩემგან სხვას არაფერს უნდა ელოდე, მსგავსი ან უარესი შეცოდებების გარდა. ვიურვი ჩადენილის გამო; განსაკუთრებით იმის გამო, რომ საკუთარი ცხოვრების გამოსწორებით არ ვპასუხობ შენს ზრუნვას ჩემდამი და მუდმივად ვეცემი. შემიძღვ და მომეცი ძალა, რათა მეტად არ შეურაცხგყო და შენს ნებას არ გადავიდე, რადგან გულწრფელად მსურს გემსახურო, სათნოგეყო და ყველაფერში დაგემორჩილო“. ამის შემდეგ თავს ნუ დაიტანჯავ ფიქრით, გაპატია თუ არა ღმერთმა. უფალი ჩვენს გვერდითაა და იცის თავის მონათა სულთქმა. ამ რწმენით დამშვიდდი და დამშვიდებულმა განაგრძე ჩვეული საქმიანობა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს.

5. თუ სიტყვით ან საქმით მსუბუქად შესცოდავ, რაიმე კონკრეტული შემთხვევის გამო აღელდები, განიკითხავ, ან სხვათა განკითხვას მოისმენ, იკამათებ ან მოუთმენლობას, ამო ფაცი-ფუცს, დაეჭვებას, დაუდევრობას გამოამჟღავნებ, არ ღირს უკიდურესი დამწუხრება, შეცბუნება ან სასოწარკვეთა საკუთარი ქმედების გამო. მით უფრო არ შეიძლება ფიქრი, რომ ვერასოდეს შეძლებ ამ სისუსტეებისგან განთავისუფლებას, რომ შენში ღმერთისადმი მსახურების სურვილი სუსტია, ანდა ისე არ მიღიხარ ღვთის გზაზე, როგორც საჭიროა. ასეთ შემთხვევაში სულს ნუ დაიმძიმებ ათასგვარი შიშით, სულმოკლეობითა და ნაღველით. არ უნდა დაგვაკვიწყდეს ჩვენი უძღურება, არ უნდა დაგვაკვიწყდეს, თუ როგორ უნდა ურთიერთობდეს სული

ღმერთთან, ანუ როდესაც სული რაიმე საპატიებელი, არასასიკვდილო ცოდვით დაეცემა, მან მდაბლად, სასოებითა და სინანულით უნდა მიმართოს ღმერთს და თავი არ დაიტანჯოს ზედმეტი ნაღველით, სიმძიმითა და წუხილით.

6. გააკეთე ის, რაც სურს შენგან ღმერთს, რომელიც განუზომლად გულუხვია შენს მიმართ. რა სურს? — სურს, მუდამ გახსოვდეს ის, და შენც მუდამ გახსოვდეს; სურს, სიყვარულით მიეწეო მას, და შენც მიეკარი; სურს, ყველაფერში მისი ნების აღმსრულებელი იყო და მას სათნოეყოფოდე, და ასეც მოიქეცი; სურს, მხოლოდ მისი იმედი გქონდეს, და მიენდე კიდევ მას; სურს, რომ შენ, რომელმაც საკუთარი კეთილისმყოფელი მრავალგზის შეურაცხყავი ბილწი და ბოროტი საქმეებით, მოინანიო, გული შეიმუსრო და იტირო ცოდვების გამო, და შენც იგლოვე, ვიდრე საკუთარ სინდისს არ დაუზავდები და არ მიხვდები, რომ ღმერთმა შეგინდო.

7. აი, რას ითხოვს შენგან ღმერთი:

ა. გულწრფელად იგრძნო ტკივილი ღვთის შეურაცხყოფის გამო;

ბ. ყველაზე მეტად შეიძულო ცოდვა — დიდიც და მცირეც.

გ. მთლიანად მიუძღვნა თავი უფალს და მთელი გულით მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურო — ყველგან და ყოველთვის ღვთის ნება აღასრულო და ბოლომდე დაემორჩილო მას.

დ. მტკიცედ გწამდეს ღმერთისა და გჯეროდეს, რომ შეგიწყალებს, ყოველგვარი ცოდვისგან განგწმენდს და ხილულ და უხილავ მტერთაგან დაგიფარავს.

8. ღმერთო, ყოვლადსახიერო! ყოველგვარ ვნებასა და

უკეთურებას განაშორე ჩემი გული; შენი წმინდა სათნოებებით აღავსე, რომ მთელი გულწრფელობით მხოლოდ შენთვის სათნოდ ცხოვრება შევძლო.

## ლიმონარი

### აბბა პალადი

1. ღმრთის ტაძრად რომ ვიქცეთ, პირველ რიგში გულწრფელი სინანული გვჭირდება, და ამისთვის უდიდესი სასყიდელი გველოდება მარადისობაში.

2. აი კიდევ რა მოგვითხრო აბბა პალადიმ:

„— ერთხელ თეზაიდას ქალაქ არსინოეში ერთი ავაზაკი შეიპყრეს კაცისკვლისთვის და მრავალი წამების შემდეგ თავის მოკვეთა მიუსაჯეს. როდესაც განაჩენის აღსასრულებლად მიჰყავდათ, გზაში სხვა ხალხთან ერთად მას ერთი ბერიც მიჰყვებოდა, რათა მისი დასჯისთვის ეყურებინა. ავაზაკმა შეამჩნია იგი და უთხრა:

— რა დაგრჩენია აქ, მამაო, სენაკი არ გიდგას? ან ხელსაქმე არა გაქვს?

— შემინდუ, ძმაო, — უპასუხა ბერმა, — სენაკიც მიდგას და ხელსაქმეც მაქვს.

— მაშინ რატომ არ ზიხარ სენაკში და არ გლოვობ საკუთარ ცოდვებს აქ უსარგებლოდ სიარულის ნაცვლად?

— მართალი ხარ, ძმაო, მაგრამ მე არავითარი ღმობიერება და სინანული არ გამაჩნია და უღებებაში გამყავს ჩემი ცხოვრება, ამიტომაც მინდა შენს დასჯას დავესწრო. იქნებ ამან მაინც დამაფიქროს და სინანული აღმიძრას გულში.

— წადი, მამაო, დაჯექი შენს სენაკში, — მიუგო ავაზაკ-



მა, — და ჰმადლობდე ქრისტეს, რომელიც ჯვარს ეცვა ავაზაკთა შორის და ჩვენ ცოდვებისაგან გამოგვიხსნა. ის მოგანიჭებს სინანულსა და ღმობიერებას და საუკუნო ცხოვრებასაც დაგიმკვიდრებს“.

თეოპოლისის პატრიარქის — აბბა გრიგორის შესახებ ბერებმა გადმოგვცეს, რომ იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი მოწყალებით, ძვირუხსენებელობითა და გლოვით, და რომ ცოდვილების მიმართ ის ყოველთვის თანაგრძნობას იჩენდა.

### აბბა მინა

ყოველი ადამიანი — ახალგაზრდა თუ მოხუცი — საკუთარ ცოდვებზე უნდა გლოვობდეს. სწორედ ამით დაიმკვიდრებს იგი საუკუნო ცხოვრებას, რომელიც ღიდებასა და პატივს მოუტანს მას. ახალგაზრდას იმისთვის, რომ ვნებების ბოლოქრობის ჟამს, ყმაწვილურ ასაკში, როცა ჯერ კიდევ სიცოცხლით იყო სავსე, უბიწოების უღელს მოუდრიკა ქედი; მოხუცს კი იმის გამო, რომ ძირფესვიანად აღმოფხვრა საკუთარი გულიდან მრავალი წლის მანძილზე შეთვისებული ჩვეულება.

### წმ. ესაია განდევილი

1. მამა ესაიას ჰკითხეს: „რა არის სინანული?“ მან უპასუხა: „სული წმიდა გვასწავლის, რომ განვეშოროთ ცოდვას და მეტად აღარ მივუბრუნდეთ მას. ამაში მდგომარეობს სინანული“.

2. საეკლესიო მსახურება ან ტრაპეზი რომ დამთავრდე-

ბა, ნუ დასხდებით ერთად, თუნდაც ღვთაებრივ საგნებზე სასაუბროდ: თითოეულმა იჩქაროს თავისი სენაკისკენ, რომ იქ იგლოვოს საკუთარი ცოდვები.

3. ის, ვინც ჭეშმარიტად იგლოვს, უკვე აღარ განიკითხავს მოყვასს. იგი დაკავებულია საკუთარ ცოდვებზე ტირილით.

4. შორს არის გლოვისაგან ის, ვინც ზრუნავს მიწიერ საგნებზე იმ მიზნით, რომ დაიკმაყოფილოს საკუთარი დიდებისმოყვარეობა.

5. მიწა ვერ შეძლებს ნაყოფის გამოღებას, თუ არ დაითესა და არ მოირწყო წყლით. ასევე ადამიანი ვერ შეძლებს სინანულს თავის დამდაბლებისა და სხეულის დათრგუნვის გარეშე.

6. გლოვით განიდევნება სულიდან ყველა ვნება.

7. თუ შენ შეურაცხგყოფენ და დამწუხრდები ამის გამო, ეს ნიშნავს, რომ შენში არ არის ჭეშმარიტი გლოვა.

8. ვინც თავს იმართლებს, ის განეშორება სინანულს.

9. ვინც განიკითხავს ცოდვილებს, ის განაგდებს საკუთარი თავისაგან სინანულს.

10. ვინც ზემოდან უყურებს უღებებს, ის განაქარვებს თავის თავში სინანულს.

11. ყველა შემთხვევაში ეცადე, არარად შერაცხო საკუთარი თავი. ეს მოგცემს საშუალებას, მიეცე გლოვას შენს ცოდვებზე.

ბერ ესაიას სულიერი დარიგებები წმიდა მონაზონ თეოდორას მიმართ

1. მწუხარე გული დალადებს ღვთის მიმართ. ცრემლები,

დაღვრილი საკუთარ ცოდვებზე, გვიშუამდგომლებენ ღვთის წინაშე. მოთმინება წმიდა მღუმარებაში უყვარს უფალს.

2. ვინც სიცილს ეძლევა, ის ეშმაკის მუშაკია. სიცილი საერთოდ არ შეშვენის ქრისტიანს, განსაკუთრებით კი მონაზონს, რომელიც ჯვარს ეცვა ამა სოფლისათვის. რამეთუ უფალი ამბობს: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“ (მათე 16,24); და როგორღა შეიძლება, უფლისთვის ჯვარცმულმა იცინოს? ჩვენ მოწოდებული ვართ არა განცხრომისათვის და სიცილისთვის, – რომ წარმართებთან ერთად დავიმკვიდროთ ჯოჯოხეთის ბორკილები და ვაება, – არამედ იმისთვის, რომ კეთილი მღუმარებითა და გლოვით დაუცხრომელად შევლადებდეთ უფალს ჩვენი სულებისათვის და ამით დავიმკვიდროთ სამოთხე ნეტარებისა.

3. ჯოჯოხეთში არ არის აღსარება, არ არის სინანული, არ არის განმწმენდელი ცრემლები და სულთქმა, რითიც შეიძლება მოწყალე გვეყოს უფალი, არამედ სასოწარკვეთილი ვაება იმათი, ვინც სიცილში ატარებდა თავისი ცხოვრების დღეებს. ამიტომ მოციქული გვმოდვრავს: იტირეთ და იგლოვეთ, სიცილი თქვენი დაე შეიცვალოს ტირილად, სიხარული კი – მწუხარებად გულისა.

4. ვინც ყოველდღე ტირილით ლოცულობს თავის სენაკში, მისთვის ყოველი დღე დღესასწაულია; ხოლო ვინც ყოველდღე ღვინის სმითა და მუცლის ამოვსებით დღესასწაულობს, მას ელოდება მარადიული ტირილი ჯოჯოხეთში. იქ, სადაც ემონებიან მუცელს, ღვინოს და სიცილს, არ

არის ხსენება არც ღვთისა, არც სიკვდილისა.

5. დაე იარაღად შენთვის იყოს მარხვა, დაყუდება და ნეტარი მღუმარება; საფარველად – ლოცვა; აბანოდ – ტირილი საკუთარ ცოდვებზე. შეიცნობ რა ამას, ქალწულო, იგლოვე შეცოდებანი შენნი.

6. ყველაფერი, რაც სიყრმიდან შესცოდე, ყოველდღე ვაებით და ტირილით აღუარე ტკბილსა იესუს. ამისგან იშვება შენს გულში სინანული. იცოდე ეს, ქალწულო, და იგლოვე მარადის.

7. ვაი უდებს და უდარდელს, კეთილო დაო ჩემო, რამეთუ განსვლის ჟამს მოსთხოვენ მას პასუხს იმ დღეებისთვის, რომლებიც ბოროტად განვლო. და რაკი იცი, როგორი აღსასრული ელოდებათ უდებთ, იგლოვე ტირილით და შემუსვრილი გულით და ყველაფერი აკეთე იმისთვის, რომ ცხონდე, რამეთუ სიკვდილი მალე მოვა, არ დააყოვნებს.

8. არავინ არის ისეთი სახიერი, გულკეთილი და მრავალმოწყალე, როგორც ღმერთი, მაგრამ თუ არ შევინანებთ და არ შევწყვეტთ ცოდვილ ცხოვრებას, ღმერთი განსჯის დღეს არ შეგვიწყალებს.

### წმ. ისააკ ასური

ვისაც ქრისტესთან საუბარი უყვარს, მას უყვარს განმარტოება, ხოლო ვისაც დიდ საზოგადოებაში ყოფნა იტაცებს, ის არის მეგობარი ამა სოფლისა. თუ გიყვარს სინანული, შეიყვარე დაყუდებაც, ვინაიდან დაყუდების გარეშე არ არსებობს სრული სინანული.

## ეგვიპტელი მამების გამონათქვამები

1. თქვა მამა ლონგინოზმა: „მღუპარებას მივყავართ გლოვისკენ, ხოლო გლოვა განწმენდს გონებას და ცოდვისაგან ათავისუფლებს მას“.

2. ძმამ ჰკითხა მამა პიმენს: „რა ვუყო ჩემს ცოდვებს?“ ბერმა უპასუხა: „ვისაც უნდა, რომ განეშოროს ცოდვას, გლოვით განეშორება მას; და ვისაც აღარ სურს ჩავარდეს ცოდვაში, გლოვით გაურბის მას. ეს არის გზა სინანულისა, გადმოცემული წმიდა წერილსა და მამათა სწავლებებში, სადაც ისინი გვიჩვენებენ: „იგლოვეთ! სხვა გზა, გარდა გლოვისა, არ არსებობს“.

3. ძმამ ჰკითხა ბერს: „როგორ მოღის გლოვა?“ ბერმა უპასუხა: „გლოვა მოღის საკუთარ ცოდვებზე ფიქრით — რომლებიც ჩაიდინა ადამიანმა ამ ცხოვრებაში: თუ რას მიუგებს მათზე ღმერთს. ვინც ეძიებს გლოვას, დაუცხრომელად უნდა იხსენებდეს ასევე სიკვდილსა და მარადიულ ტანჯვას“.

4. ღირსი დედა პელაგია ამბობდა: „დაცემულნი ხორციელი ვნებებით, ნუ უღებვეოფთ სინანულსა და ტირილს საკუთარ თავზე, მანამდე, სანამ არ მოგვისწრებდეს ტირილი სამსჯავროს წინაშე.“

5. ის, ვისაც სურს განეშოროს ცოდვებს, დაყუდებით, მღუპარებითა და გლოვით განეშორება მათ.

6. წმ. თეოდორამ თქვა: „დაყუდება და მღუპარება არიან მშობელნი სინანულისანი“.

7. წმ. სვინკლიტიკიამ თქვა: „როგორი დაცემაც არ უნდა შეგემთხვეს, თუ იტყვი თავმდაბლობით: (ღმერთო) შემინდე, — მიიღებ შენდობას“.

## წმ. მღვდელმთავარი ეგნატე

1. მამების გამონათქვამებში დაწვრილებითაა მოცემული სწავლება გლოვაზე, სინანულზე; დრმა გლოვა ისმის მამათა ყველა ნათქვამში. სცნეს მათ, რომ ადამიანი დევნილია ზეციდან, რომ დედამიწა – ეს არის ადგილი მისი გადასახლებისა, და რომ ამ ადგილზე მას ხანმოკლე ყოფნა სინანულისთვის მიეცა. თუ ადამიანი მიაღწევს ამ მიზანს, რისთვისაც დროებითაა გადმოსახლებული დედამიწაზე, მაშინ ის დაუბრუნდება თავის სამშობლოს – ზეცას, დაუბრუნდება უკიდევანო მარადისობას; ხოლო თუკი დაკარგავს ამ დროს, მოცემულს სინანულისთვის, დაკარგავს უაზროდ და ბოროტად – ამაო საქმეებში, ცოდვის მსახურებაში, მაშინ მისი სამუდამო ადგილი იქნება ჯოჯოხეთში. გამოვლენ ჰერობილნი ჯოჯოხეთისანი ქვესკნელიდან ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე, იხილავენ დიდებას ღვთისას, იხილავენ დიდებას და ნეტარებას წმინდანებისას და ისევ დაუბრუნდებიან ჯოჯოხეთს. და აღარასდროს გამოვლენ იქიდან. სიკვდილზე უარესი იქნება იქ მათი ყოფნა.

2. გავიდნენ მამები უდაბნოში და იქ მთლიანად მიეცნენ სინანულს. სინანული მოიპოვება სახარების მცნებების ზუსტი შესრულებით. სახარების მცნებების ზუსტად და ღვთისათნოდ შესრულება კი შესაძლებელია მხოლოდ შემუსვრილი და დამდაბლებული გულით. სახარების მცნებებით ცხოვრების არსი – სინანულია. როცა სინანული დამკვიდრდება გულის სიღრმეში, იგი გადაიქცევა გლოვად. ეს გლოვა არის გლოვა სულისა.

## შენიშვნები